ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 15 აგვისტო, 2011 — №192 (5573) — ფასი: 30 თეთრი

## ნინო ბურჯანაძე: „ჩემი შვილების წინააღმდეგ პროვოკაცია მზადდება“



გვ.3

# ცხინვალი სამოქალაქო ომის ზღვარზეა

## კოკოითის შემცვლელი ბიბილოვი იქნება?

გვ.3

## თენგიზ კიტოვანი: „ანქვაბი ჩვენზე მუშაობდა“

ირაკლი ბათიაშვილი: „ანქვაბი ჩვენი აგენტი არ ყოფილა“





გვ.5

## ზაზა ხატიაშვილი: „ხათუნა კალმახელიძე ციხეში უნდა იჯდეს!“



გვ.4

რატომ აწამებენ პატიმრებს

## ვინ იყიდა სასტუმრო „აფხაზეთი“

გვ.6



გვ.2

## ნაციონალები სააკაშვილის გარეშე 30%-საც ვერ აიღებენ!

გიორგი ახვლედიანი: „საარჩევნო ბლოკს არავისთან არ შევქმნით“



გვ.4

## ექვსიანში შემავალი პარტიები ალასანიას აუჯანყდნენ?



გვ.2

ილია II-მ აჭარაში 30 ადამიანი მონათლა

## გია ხუხაშვილი: „საქართველოში ეკონომიკური პროცესები საერთოდ არ მიმდინარეობს“



გვ.6

## ონიშჩენკო ქართული ღვინის მისაღებად მზად არის



გვ.7

3090

SMS განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**3** ახალგორში შესასვლელ რუსულ პოსტზე შეზღუდვები წესდება

**5** კახეთში ავტოსაგზაო შემთხვევას ორი ადამიანი ემსხვერპლა

**4** „სახალხო კრება“ ნონა გაფრინდაშვილის დაკითხვას ითხოვს

**9** ბასკის სადებიუტო გოლი და ფოთელთა იმერული სენსაცია

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნაციონალები სააკაშვილის გარეშე 30%-საც ვერ აიღებენ!

## გიორგი ახვლედიანი: „საარჩევნო ბლოკს არავისთან არ შევქმნით“

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო ფრაქცია ქრისტიან-დემოკრატების თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანი აცხადებს, რომ ქრისტიან-დემოკრატების სია სხვა პარტიის ლოკომოტივად არ გამოდგება. ახვლედიანი ირწმუნება, რომ მათ საპარლამენტო სიაში სხვა პარტიის წარმომადგენლები არ აღმოჩნდებიან.**

**„ახალი თაობა“ გიორგი ახვლედიანს ესაუბრა.**

***— ოპოზიციამ წინასაარჩევნო აქტიურობა და რეგიონებში სიარული უკვე დაიწყო. თქვენ ერთი წლით ადრე დაიწყეთ საარჩევნო კამპანია?***

— ჩვენ რეგიონებში სიარული ახლა არ დაგვიწყია. ქრისტიან-დემოკრატები ამ სამი წლის განმავლობაში კვირაში ორჯერ ჩავდივართ რეგიონებში. ჩვენთვის არ არსებობს წინასაარჩევნო პერიოდი, ჩვენთვის არის კონკრეტული თემები, რომლებიც საზოგადოებასთან ერთად არის განხილული და მათი მოსაზრებაა გაგებული.

***— როგორი იქნება პოლიტიკური შემოდგომა?***

— პოლიტიკური შემოდგომა მრავალფეროვანი და დატვირთული იქნება. ერთი წელი რჩება არჩევნებამდე და ეს პროცესები უფრო აქტუალური გახდება. ყველა პოლიტიკური პარტია გააქტიურებას დაიწყებს. ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ის ბრძოლა დაიწყება, რასაც წინასაარჩევნო მარათონი ჰქვია. ეს შემდეგ მწვავე ფორმებს მიიღებს.

***— როდის მიიღებს მწვავე ფორმებს?***

— მომავალი წლის გაზაფხულიდან. 2012 წლის ზაფხული კორექტივებს შეიტანს, რადგან ზაფხული მაინც სტაგნაციის პერიოდია. ბოლო, 100-მეტრიანი ფინიში 2012 წლის სექტემბრიდან იქნება.

***— როდისთვის ჩამოყალიბდებიან პარტიები საარჩევნო სიების სამუშაო ვარიანტებზე, მათ შორის პირველ ნომრებზე?***

— პოლიტიკური ლიდერების დასახელება ამა თუ იმ პარტიის სტრატეგიის ნაწილია. თავად ჩვენს მოძრაობას გამოკვეთილი ლიდერი უკვე ჰყავს და სხვა პოლიტიკური კონგლომერატებისგან განსხვავებით საკითხი იმის შესახებ, ვინ იქნება ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი, დღის წესრიგში არ დგას. გიორგი თარგამაძე პოლიტიკური მოძრაობის ხელმძღვანელი და ლიდერია და, ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში პარტიის პირველი ნომერი და ლოკომოტივიც ის იქნება, როგორც არის აქამდე.

***— რაც შეეხება სიის პირველ ათეულს, ახლა პარლამენტში თქვენი მხრიდან შვიდი კაცია წარმოდგენილი, შვიდივეს ვიხილავთ სიის პირველ ათეულში?***

— ჯერ ამაზე საუბარი ძალიანნაადრევია. შესაძლებელია ასეც იყოს, შეიძლება რაღაც კორექტივები მოხდეს. ეს ძალიან ფაქიზი თემაა.

***— თანაც ამაში შესაძლოა ბლოკის შექმნამ შეიტანოს კორექტივები. ხომ ასეა?***

— არანაირ დაბლოკებას არავისთან არ ვაპირებთ! მით უმეტეს, გამოკვეთილად შემიძლია ვთქვა, რომ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის სიას, რომელიმე პოლიტიკური ძალა, როგორც ლოკომოტივს, ვერ გამოიყენებს.

***— ქრისტიან-დემოკრატების საპარლამენტო სიაში სხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები არ აღმოჩნდებიან?***

— ქრისტიან-დემოკრატების სია სხვა პარტიის ლოკომოტივად ნამდვილად არ გამოდგება.

***— არადა, კულუარებში საუბრობენ, ახალი მემარჯვენეების სამი წევრი ქრისტიან-დემოკრატების სიაში იქნებაო. ეს მართალია?***

— არა, არა. მაგაზე საუბარი ნამდვილად არ არის.

***— ახლა არ არის ამაზე საუბარი, მაგრამ არც მომავალში აღმოჩნდებიან მემარჯვენეები თქვენს სიაში?***

— არა, პირობას ვდებ, რომ მაგ თემაზე არანაირი საუბარი არ არის. ახალი მემარჯვენეები ღიად აფიქსირებენ, რომ ისინი თავიანთი ძალებით აპირებენ, მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო არჩევნებში და საკუთარი სიით



გავიდნენ. ისინი არც ჩვენთან და არც სხვასთან არ განიხილავენ კოალიციურ და ბლოკურ ურთიერთობას.

***— საარჩევნო შეთანხმებას ვინც ხელი მოაწერა, არც იმ პარტიების წარმომადგენლები იქნებიან თქვენს სიაში?***

— არც ერთთან მაგ თემაზე არანაირი საუბარი არ არის.

***— ამბობენ, რომ ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო სიას ისევ დავით ბაქრაძე ჩაუდგება სათავეში. ეს მოსალოდნელია თუ არა?***

— თუ რაიმე ძირეული ცვლილება არ მოხდა ნაციონალურ მოძრაობაში რყევის თვალსაზრისით, ალბათ, განსაკუთრებულ ცვლილებებს არ განახორციელებენ. ისევე, როგორც წინა საპარლამენტო სიას, ბაქრაძე უხელმძღვანელებს. თუმცა, ერთი წელი ძალიან დიდი დროა იმისთვის, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციაში ბევრი რამ შეიცვალოს. ამ კვირის ბოლოს რომ იყოს არჩევნები, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაქრაძე ნაციონალების საპარლამენტო სიაში პირველი ნომერი იქნებოდა. მაგრამ, ერთი წლის შემდეგ, ნაციონალურ მოძრაობაში როგორი კონფიგურაცია იქნება, ესეც ძალიან ბევრი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

***— რატომ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ?***

— ერთი მარტივი მიზეზის გამო, ახლოვდება პოსტსააკაშვილისეული პერიოდი. ახლოვდება ნაციონალური მოძრაობის ჰეგემონიის და ხელისუფლებაში ყოფნის დასასრული. 2013 წელს მიხეილ სააკაშვილი აღარ იქნება პრეზიდენტი. შესაბამისად, 2013 წლიდან იწყება პოსტსააკაშვილისეული პერიოდი. ეს ყველაფერი ძალიან სერიოზულად ჰპოვებს ასახვას როგორც უმრავლესობაზე, ისე მთავრობაზე. ის ტორტი, რომელიც დღეს ნაციონალურ მოძრაობაში ცხვება, ისეთი დიდი აღარ იქნება და ყველას ვერ დააკმაყოფილებს. ის, ვინც ადგილის გარეშე დარჩება, თავშესაფრის ძიებას აუცილებლად დაიწყებს. მით უფრო მაშინ, როცა უამრავი მაჟორიტარი მხოლოდ ფინანსური ინტერესების გამო ჰყავთ და მათ პოლიტიკასთან კავშირი არ აქვთ. ეს ადამიანები ახალი თავშესაფრების ძებნასა და ახალი რეალობების განსაზღვრას დაიწყებენ. ამაში სასწაული და დასაძრახი არაფერია — ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური რეალობაა. ასე რომ, ძალიან ბევრი რამ შეიცვლება.

***— საუბარია იმის შესახებ, თითქოს ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიას სათავეში შესაძლოა მიხეილ სააკაშვილი ჩაუდგეს...***

— ასეთ შემთხვევაში, ძალიან რთული რეალობა შეიქმნება — მათ შორის ნაციონალურ მოძრაობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილმა უნდა დატოვოს პრეზიდენტის პოსტი, რასაც 2-3 თვეში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები უნდა მოჰყვეს. ნაციონალური მოძრაობის იქს პრეზიდენტობის კანდიდატს, ყველა სოციოლოგიური კვლევის თანახმად, მხოლოდ 22% აქვს და მეტი არა. მართალია, ამ 22%-თაც კვლავ პირველ ადგილზეა, თუმცა, საპრეზიდენტო არჩევნების მოსაგებად არასაკმარისია. მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო პოსტის დატოვებამ შეიძლება მისთვისვე არასასურველი შედეგების მქონე ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები მოუტანოს, რაც სერიოზულ გავლენას მოახდენს საპარლამენტო არჩევნების შედეგებზეც.

***— ესე იგი, ნაკლებად შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ სააკაშვილი სიის პირველი ნომერი იყოს?***

— რა თქმა უნდა. ამასთან, სააკაშვილს პარლამენტი თბილისიდან ქუთაისში იმისთვისაც არ გადაუტანია, რომ ავლაბრის რეზიდენცია დატოვოს, ქუთაისში იცხოვროს და პარლამენტში იქ იჯდეს.

***— პრემიერ-მინისტრობის შემთხვევაში ხომ მაინც მოუწევს ავლაბრის საპრეზიდენტო სასახლის დატოვება?***

— სხვათა შორის, პარლამენტის თბილისიდან ქუთაისში გადატანა ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშე გვაყენებს. ახალი კონსტიტუციის გათვალისწინებით, ქვეყანა უფრო საპარლამენტო რესპუბლიკა ხდება, ვიდრე საპრეზიდენტო. შესაბამისად, პრემიერ-მინისტრი თავისი მთავრობით, პარლამენტთან მუდმივ კონტაქტში უნდა იყოს. ახლა, როცა მთავრობა თბილისში რჩება, პარლამენტი კი ქუთაისში გადადის, მთავრობამ პარლამენტისთვის ანგარიშის ჩასაბარებლად ყოველდღიურად თბილისიდან ქუთაისში უნდა ირბინოს, ამისთვის სახელმწიფომ ასობით მილიონი სამივლინებო ხარჯი უნდა გაიღოს, რაც აბსურდია და წარმოუდგენელი. ამის ფუფუნება ჩვენ არ გვაქვს. ეს ჩემი და თქვენი ჯიბეებიდან ამოღებული თანხებია. ცოტა პესიმისტურად ვუყურებ მოვლენათა განვითარების მაგ ვარიანტს, რომ მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარეობა მოინდომოს. დღეს პარლამენტის თავმჯდომარე ქვეყანაში მეორე პირია. მომავალში, პრაქტიკულად, მესამე პირი ხდება. რომელი საპარლამენტო რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე იცის რიგითმა მოქალაქემ? გადავავლოთ თვალი, რიგითი მოქალაქე მათ ვერ დაასახელებს. იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში იციან პრემიერი და პრეზიდენტი. ცოტა ეჭვი მეპარება, რომ მიხეილ სააკაშვილის ამბიციების მქონე ადამიანს ასეთი მესამეხარისხოვნობა აკმაყოფილებდეს.

***— მიხეილ სააკაშვილს პრემიერ-მინისტრობა მოუნდება?***

— მას პრემიერ-მინისტრობა უნდა, მაგრამ, მას რომ უნდა, ეს ძალიან ცოტაა იმისთვის, რომ ასე მოხდეს. მთელ მსოფლიოს და მოსახლეობის უმრავლესობას ეს არ უნდა. შესაბამისად, ამხელა ნების წინააღმდეგ წასვლა მის მუბარაქიზაციას გამოიწვევს. მუბარაქს რა დაემართა, ყველამ იცის, ერთი ერთზე თუ უნდა ეს გზა გაიაროს, თავისი ნებაა. ქვეყანა არ შეიძლება გადააყოლო საკუთარ ამბიციებს. მთელი მსოფლიო ამბობს, მიხეილ სააკაშვილი ჩვენთვის ლეგიტიმური იქნება მანამ, სანამ არის პრეზიდენტი. მაგრამ პრეზიდენტობის შემდეგ, როგორც კი ისევ ხელისუფლების მორგებას გადაწყვეტს და მიითვისებს, ჩვენთვის ის ხდება პუტინი და მუბარაქი.

***— ნაციონალური მოძრაობის წევრები თითქმის დარწმუნებული არიან იმაში, რომ მომავალ პარლამენტში ისევ უმრავლესობაში იქნებიან. ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?***

— ერთია, რასაც ისინი ამბობენ და მეორეა რეალობა. მათ კარგად იციან, რომ ნაციონალურ მოძრაობას მაღალი რეიტინგი არ აქვს, რეიტინგი აქვს მიხეილ სააკაშვილს. ეს მოგვწონს თუ არა, ასეა იმ მედიის პირობებში, როდესაც დედამიწის ზურგზე სააკაშვილის გარდა სხვა არაფერი არ ჩანს და ლამის შვეიცარიას გავასწარით და სინგაპური იხვეწება, თქვენნაირი გვინდა ვიყოო. თან გაიძახიან, რომ უამრავი ტურისტი ჩამოდის, მაგრამ ჩადით ბათუმში და ნახავთ. სამწუხაროდ, პრაქტიკულად, ცარიელი ბათუმი ვნახე. ხელისუფლება კიდევ გვიმტკიცებს, რომ 2 მილიონი ტურისტი ჩამოვიდა, ორჯერ მეტი, ვიდრე შარშან, თუმცა, შარშან ბათუმში ვერ გაივლიდი, ისეთი ამბავი იყო, რაც ძალიან მიხაროდა. ახლა ამდენი ხალხი არ არის. დავუბრუნდეთ ისევ მიხეილ სააკაშვილს, მას აქვს ქარიზმატული რეიტინგი, იმიტომ, რომ მასზე მუშაობს თითქმის მთელი მედია 24 საათის განმავლობაში. მიხეილ სააკაშვილი არის ხუთიანი, მისი საარჩევნო ნომერია ხუთიანი. თუ მიხეილ სააკაშვილი აღარ იქნება პოზიციონირებადი საარჩევნო სუბიქტი, ანუ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის ლოკომოტივი, მერწმუნეთ, რომ ნაციონალური მოძრაობა ვერ გადალახავს 30%-ს.

***— მომავალ პარლამენტში ნაციონალურ მოძრაობას საკონსტიტუციო უმრავლესობა აღარ ექნება?***

— ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ნაციონალურ მოძრაობას არათუ საკონსტიტუციო უმრავლესობა, უბრალო უმრავლესობაც არ ჰქონდეს და ვალდებული გახდეს, ხელისუფლება სერიოზულად გადაანაწილოს.

## ილია II-მ აჭარაში 30 ადამიანი მონათლა



ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 30 ადამიანი მონათლა. ნათლულები, ძირითადად, აჭარაში მცხოვრები აფხაზები და აჭარლები იყვნენ, მათ შორის — რამდენიმე ბავშვი.

— მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები აქ, სადაც შვიდი წლის მანძილზე ვმსახურობდი, აღვავლენდი ლოცვებს, უამრავი ადამიანი მომინათლავს და გზაზე დამიყენებია. აქ საოცარი სიყვარული სუფევს. მე იმედი მაქვს, რომ აღვადგენთ იმ პატივისცემას, რომელიც არსებობდა ქართველებსა და აფხაზებს შორის; ვიქნებით ერთად ბედნიერი და მომავლის იმედით მყოფნი. ღმერთმა დალოცოს და გაგაძლიერის მთელი საქართველო, — ბრძანა პატრიარქმა.

**ინტერპრესნიუსი**

## მარიამობის მარხვა დაიწყო

გუშინ, 14 აგვისტოს, მარიამობის მარხვა დაიწყო, რომელიც 28 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე დასრულდება.

ეკლესიის ისტრიაში ამ მარხვის დაწყების ზუსტი თარიღი უცნობია. უცნობია ასევე, როდის დაწესდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული. წმინდა მამათა ნაშრომები, სადაც ღვთისმშობლის მიძინებაზეა საუბარი, მეოთხე საუკუნის ბოლოს არ სცილდება. მარიამობის მარხვა მართლმადიდებელ ეკლესიაში 1166 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე „ძველ განწესებათა თანახმად“ დაკანონდა.

ქრისტიანულ სამყაროში ყოვლადწმინდა სამების შემდეგ, ღვთისმშობელი მარიამი იდიდება, რამეთუ იგი ქერუბიმებზე უპატიოსნესია და სერაფიმებზე აღმატებული. უდიდეს ათორმეტ დღესასწაულთაგან სამი ღვთისმშობლის შობა, მიძინება და ყოვლადწმინდა მარიამის ტაძრად მიყვანება, უშუალოდ, ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## საქართველომ და მიკრონეზიამ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს



საქართველომ და მიკრონეზიამ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს.

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ ხელმოწერილი ოქმის თანახმად, სახელმწიფოები მეგობრული ურთიერთობების, ეროვნული სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, სახელმწიფო საზღვრების ურღვეობისა და ერთმანეთის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით იხელმძღვანელებენ.

მიკრონეზიის მხრიდან ოქმს ხელი ამ სახელმწიფოს საქმეებში დროებითმა რწმუნებულმა ჯიმ ლიპვემ მოაწერა, საქართველოს მხრიდან კი საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაერო-სთან, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ალექსანდრე ლომაიამ.

ხელმოწერის ცერემონიალი ნიუ-იორკში გაერო-სთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში გაიმართა.

დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ მხარეებმა გაერო-ს გენერალურ მდივანს ბან კი მუნს ერთობლივი წერილით აცნობეს.

ცნობისთვის, 2011 წელს საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები კიდევ 14 სახელმწიფოსთან დაამყარა. მათ შორისაა ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამის თანამეგობრობა, გვინეა-ბისაუ, კონგო, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მავრიტანია, მაურიტიუსი, რუანდა, სოლომონის კუნძულები, სომალი, სურინამი, ტრინიდადი და ტობაგო, ტუვალუ და ჰონდურასი.

**პირველი**

## ნინო ბურჯანაძე: „ჩემი შვილების წინააღმდეგ პროვოკაცია მზადდება“



„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მისი შვილების მიმართ პროვოკაციები მზადდება.

— მაქვს სერიოზული ინფორმაცია, რომ ჩემი შვილების მიმართ შეიძლება, პირდაპირი პროვოკაცია განხორციელდეს. ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ერთ-ერთი სცენარის თანახმად, რომელიმე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ჩემი რომელიმე შვილის შეურაცხყოფა და ამ გზით მისი კონფრონტაციაში ჩათრევა უნდა მოხდეს, რის შემდეგაც აღმოჩნდება რომ ჩემი შვილის კონფლიქტში ჩამთრევი პირი პოლიციის თანამშრომელია. ბოლო დროს მიღებული ცნობილი კანონის თანახმად კი, როგორ ისჯება პოლიციელის შეურაცხყოფა ყველასთვის ცნობილია, — აცხადებს ბურჯანაძე.

მისივე თქმით, ეს არის იმ პოლიტიკის გაგრძელება, რომელსაც ხელისუფლება მისი ოჯახის წინააღმდეგ დიდი ხანია, ახორციელებს.

— ეს ყველაზე ნათლად 26 მაისს გამოჩნდა, როცა ხელისუფლება დილიდან ცდილობდა გაევრცელებინა ინფორმაცია, რომ ანზორ ბიწაძე მართავდა იმ მანქანას, რომელმაც თითქოსდა პოლიციელი გაიტანა. იქედან გამომდინარე, რომ არსებობდა ასობით მოწმე, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ ანზორ ბიწაძე საჭესთან არ მჯდარა, ხელისუფლებამ ამ ხმების გავრცელება შეწყვიტა. პარალელურ რეჟიმში კი, დაკავებულ მძღოლებზე მიდიოდა უპრეცედენტო ზეწოლა, რათა მათ ელიარებინათ, რომ საჭეს ანზორ ბიწაძე მართავდა, რის სანაცვლოდაც მათ უპირობო გათავისუფლებას პირდებოდნენ. მე ვაფრთხილებ ხელისუფლებას, რომ ამგვარი პროვოკაცია მათ ძალიან ძვირად დაუჯდებათ, თუმცა მანამ გვინდა, საზოგადოება წინასწარ ჩავაყენოთ საქმის კურსში. ჰგარდა ამისა, ჩვენი და ჩვენი მხარადამჭერების მიმართ განხორციელებული ზეწოლის საკითხებზე საქმის კურსშია საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი ინფორმირება პერმანენტულად ხდება, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**პირველი**

## ახალგორში შესასვლელ რუსულ პოსტზე შეზღუდვები წესდება




ახალგორში შესასვლელ რუსულ პოსტზე გადაადგილებაზე შეზღუდვები წესდება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ახალგორელებმა აცნობეს.

ადგილობრივების ინფორმაციით, 15 აგვისტოდან რაიონში შესასვლელ რუსულ პოსტზე გადაადგილება მხოლოდ განსაზღვრულ საათებში იქნება დაშვებული.

— პოსტის გავლა დილის 06:00-დან 10:00 საათამდე და საღამოს 16:00-დან 18:00 საათამდე იქნება შესაძლებელი, — განაცხადეს ახალგორელებმა.

**ინტერპრესნიუსი**

## დევნილები კურორტოლოგიის ინსტიტუტსაც დაცლიან

„კურორტოლუგიის ინსტიტუტის“ შენობის დაცლას დევნილები 16 აგვისტოს დაიწყებენ. ამის შესახებ “ინტერპრესნიუსს“ აღნიშნულ შენობაში მცხოვრებმა აფხაზეთიდან დევნილებმა აცნობეს.

მათი განმარტებით, გუშინ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში იყვნენ დაბარებულები, სადაც ყველა მათგანი ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში მდებარე ბაგა-ბაღის ყოფილ შენობაში გადასვლას დათანხმდა. დევნილების თქმით, მათ უკვე გადაეცათ აღნიშნული ბაგა-ბაღის შენობაში საცხოვრებელი ფართები.

მათთვის შეთავაზება მისაღებია. დევნილის თქმით, ბაგა-ბაღის შენობაში უკვე ნახეს შეთავაზებული საცხოვრებელი ფართი, რომელიც გარემონტებულია და მოეწონათ.

როგორც დევნილები აცხადებენ, „კურორტოლოგიის ინსტიტუტის“ შენობაში აფხაზეთიდან დევნილი 28 ოჯახი 1990-იანი წლებიდან ცხოვრობს.

**ინტერპრესნიუსი**

# ცხინვალი სამოქალაქო ომის ზღვარზეა

## კოკოითის შემცვლელი ბიბილოვი იქნება?

თეა მარხვაი ე



**თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ ედუარდ კოკოითის მატარებელმა ჩაიარა. კრემლის კატეგორიული მოთხოვნით მან კონსტიტუციის შეცვლაზე ხელი აიღო. ის და მისი მომხრეები რეფერენდუმის გზით აპირებდნენ საკონსტიტუციო ცვლილების მიღწევას, რომელიც კოკოითის მესამე ვადით მისცემდა პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრის უფლებას.**

**მოსკოვის მოთხოვნით რეფერენდუმზე არც ეს საკითხი დადგა და კოკოითისაც ღიად ათქმევინეს, აღარ მინდა პრეზიდენტობაო.**

საპრეზიდენტო არჩევნები ცხინვალის რეგიონში მიმდინარე წლის ნოემბერში ჩატარდება. არჩევნებამდე სამი თვით ადრე პრეზიდენტობის მსურველთა ვინაობა ოფიციალურად გარკვეული არ არის.

როგორც ამბობენ, კანდიდატურები რამდენიმეა და ისინი კრემლის მიერ მოწყობილ კასტინგზე მიიღებენ მონაწილეობას. გამარჯვებულს კი საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელებენ.

არჩევნებს დემოკრატიული იერი რომ მისცენ, მასში რომელიმე ოპოზიციონერსაც მიაღებინებენ მონაწილეობას. წინა არჩევნებშიც ასე მოხდა.

არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გეგმავს კოკოითის მთავარი ოპონენტი ძამბოლატ თედეევიც. ის ოპოზიციონერად ითვლება, მაგრამ კრემლში დიდი სიმპატიებით სარგებლობს. ის რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია თავისუფალ ჭიდაობაში და პრემიერ პუტინთან ახლო მეგობრობა აკავშირებს.

რუსული გამოცემა „ნეზავისიმაია გაზეტას“ ცნობით, ამ ეტაპზე კოკოითის ჩამნაცვლებლად სამი კანდიდატურა გამოიკვეთა. ესენი არიან: სამხრეთ ოსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზაურ კოკოევი, რუსეთში სამხრეთ ოსეთის ელჩი დიმიტრი მედოევი და სამხრეთ ოსეთის საგანგებო სიტუაციათა მინისტრი ანატოლი ბიბილოვი.

თავის დროზე პრეზიდენტობის პოსტზე ბორის ჩოჩიევის კანდიდატურაც განიხილებოდა. ეს უფრო ჩვენი ხელისუფლების ვერსია იყო. ისინი ჯერ კიდევ 2005 წლიდან ამტკიცებენ, რომ კრემლი ჩოჩიევს საპრეზიდენტოდ ამზადებს.

როგორც რუსული მედია წერს, აქამდე ყველაზე აქტუალურად მედოევის კანდიდატურა განიხილებოდა.

— უკანასკნელ მომენტამდე სამხრეთ ოსეთის გაპრეზიდენტების ყველაზე რეალური შანსები მედოევს ჰქონდა. ის ახალგაზრდა, განათლებული და რუსეთისადმი აბსოლუტურად ლოიალური ადამიანი გახლავთ. მედოევი სამხრეთ ოსეთშიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მასთან დაკავშირებით თითქოს არანაირი კითხვები არ არსებობს, — წერს რუსეთში ოსური დიპლომატიის ხელმძღვანელზე რუსული პრესა.

მართალია, მოსკოვს მასთან კითხვები არ ჰქონდა, მაგრამ ალტერნატივას მაინც ეძებდა. არჩევანი სამხრეთ ოსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერ ზაურ კოკოევზე შეჩერდა. ამ უკანასკნელს საპასუხისმგებლო პოსტებზე მუშაობის დიდი სტაჟი აქვს.

დამკვირვებლების აზრით, რუსეთისთვის ორივე კანდიდატურა მისაღები იყო. „ნეზავისიმაია გაზეტას“ ცნობით, არჩევანი ამ ორს შორის უნდა გაკეთებულიყო. ამასობაში საიდანღაც მესამე ვარიანტიც გამოჩნდა. მესამე კანდიდატი სამხრეთ ოსეთის საგანგებო სიტუაციათა მინისტრი ანატოლი ბიბილოვი გახლავთ.

მიმდინარე წლის სექტემბერში სამხრეთ ოსეთში ხანმოკლე ვიზიტით აპირებს ჩასვლას სერგეი ნარიშკინი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გახლავთ. მასთან ერთად დელეგაციაში იქნებიან პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი სერგეი ვინოკუროვი და რუსეთის საგანგებო სიტუაციათა საქმეთა მინისტრი სერგეი შოიგუ. გენერალი შოიგუ სამხრეთ ოსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ოფიციალური ვერსიით, ნარიშკინი, ვინოკუროვი და შოიგუ ეკონომიკური ფორუმის მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც 20 სექტემბერს გაიმართება. ოსური მედიის ცნობით, ეს ფორუმი ერთდღიანია.

არაოფიციალური ვერსიით კი რუსი მაღალჩინოსნების ვიზიტს სულ სხვა დატვირთვა აქვს. არც ის არის შემთხვევითი, რომ ცხინვალში პოპულარული გენერალი შოიგუ ჩადის. რუსული მედიის ცნობით, ეს ვიზიტი ანატოლი ბიბილოვის მხარდაჭერისთვის იქნება გამოყენებული.

თუ ეს ვიზიტი მართლაც ბიბილოვის მხარდასაჭერი იქნება, მაშინ მას არჩევნები უკვე მოგებული ჰქონია. აფხაზებისგან განსხვავებით, ოსებს არ აღიზიანებთ, როცა კრემლი მათ შინაურ საქმეებში ერევა.

და მაინც საიდან გამოჩნდა ანატოლი ბიბილოვის კანდიდატურა? მის შესაძლო გაპრეზიდენტებაზე აქამდე არავინ საუბრობდა. რუსული მედია ვარაუდობს, რომ არჩევანი მასზე საგანგებოდ გაკეთდა.

— გარკვეულ ეტაპზე კოკოითი კრემლისთვის უკვე მიუღებელი კანდიდატურა გახდა. ამის მიზეზი იყო ცხინვალის აღსადგენად წამოსული მსხვილი თანხების მითვისება. ასევე კოკოითის არაგეგმიური და თვითნებური ვიზიტები მოსკოვში. უკვე მიდიოდა საუბრები კოკოითის გადაყენებისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შესახებ. კოკოითიმ თავისი მოსკოველი მფარველების გადარწმუნება შეძლო. სანაცვლოდ პირობა მისცა, რომ ვადის ამოწურვის შემდეგ მშვიდობიანად წავიდოდა თანამდებობიდან და ხელისუფლებაში დასარჩენად არანაირ ხერხს არ გამოიყენებდა, — განუცხადა „ნეზავისიმაია გაზეტას“ ცხინვალის ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირმა.

რამდენიმე თვის წინ კოკოითის კრემლმა ღიად ათქმევინა, რომ ის მესამე ვადით პრეზიდენტობას არ აპირებს. ამის მიუხედავად, პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ მან თამაშის წესები შეცვალა და რაღაცის გაკეთებას აპირებს.

ცხინვალში აგვისტოს ომის სამი წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე ბევრი სტუმარი ჩავიდა. მათ შორის იყო „ოსთა უმაღლესი საბჭოს“ თავკაცი ბორის ბასაევი. მან თავისი ორგანიზაციის სახელით საჯაროდ მოუწოდა კოკოითის, მესამე ვადითაც იყაროს კენჭი.

თავისი გამოსვლის დასასრულს ბასაევმა განცხადება უკვე არა თავის ორგანიზაციის, არამედ მთლიანად ოსი ერის სახელით გააკეთა. მისი თქმით, ოს ერს, კოკოითის გარდა, პრეზიდენტად სხვა არავინ სურს.

— თავის გამოსვლაში კოკოითიმ განაცხადა, რომ ის ყოველთვის მზადაა თავისი ხალხის მოთხოვნის შესასრულებლად. ამასთან თქვა, რომ მესამე ვადით კენჭისყრაში მას ხელს კონსტიტუცია უშლის. მართალია, მან თქვა, რომ კონსტიტუციით კენჭისყრის უფლება არ აქვს, მაგრამ მას ხელისუფლებაში დარჩენაზე კატეგორიული უარი არ უთქვამს. დიმიტრი მედოევიც და ზაურ კოკოევიც კოკოითის ხალხად ითვლებიან. მათი გაპრეზიდენტების შემთხვევაში კოკოითი შეიძლება ისევ ხელისუფლებაში დარჩეს. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ შეაჩერა რუსეთმა არჩევანი ბიბილოვზე, — განუცხადა რუსულ გამოცემას ცხინვალის ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პიროვნებამ.

ცხინვალელი წყარო, რომელიც ვინაობას არ ამხელს, საინტერესოს უწოდებს ერთ ამბავს. ეს ფაქტი მას შემდეგ მომხდარა, რაც „ოსთა უმაღლესი საბჭოს“ თავკაცმა კოკოითის მესამე ვადით კენჭისყრა შესთხოვა.

— ამ ამბიდან ძალიან მალე ცხინვალში ჩატარდა სამუშაო თათბირი, რომელიც რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მათ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება მკაცრად გააკრიტიკეს ცხინვალის აღდგენითი სამუშაოების უხარისხოდ ჩატარების გამო, — ამბობს ცხინვალელი წყარო.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია ძამბოლატ თედეევს. თუმცა ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომ, სავარაუდოდ, კენჭს იყრის. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მან სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობაც მიიღო, რაც მას არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევს.

მართალია, თედეევი წარმოშობით ცხინვალიდან არის, მაგრამ უკვე დიდი ხანია, რუსეთში ცხოვრობს. როგორც თავად თქვა, მას აქამდეც სურდა სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის მიღება, მაგრამ, კოკოითის მითითებით, მას მოქალაქეობას არ აძლევდნენ.

ის და კოკოითი დღეს ერთმანეთის მტრები არიან. 10 წლის წინ სწორედ თედეევმა და მისმა ძმამ გაიყვანეს კოკოითი პრეზიდენტად. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ახლა თედეევი მის ჩანაცვლებას აპირებს. ამისთვის თანამოაზრეებთან ერთად შექმნა მოძრაობა „სამართლიანი არჩევნებისთვის“. მათვე უჭერს მხარს „სახალხო ფრონტიც“.

გამოცემასთან „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ მან კოკოითი ფულის გაფლანგვაში დაადანაშაულა.

— ცხინვალი დანგრეულ სტალინგრადს მაგონებს. აქ ფეხით გავლა შეუძლებელია. ყველაფერი დანგრეული და გადათხრილია. აშენებულია მხოლოდ სამხედრო ბაზები. ისინიც რუსებმა ააშენეს. ცხინვალის აღდგენა არ ხდება. რესპუბლიკის აღდგენისთვის ომის შემდეგ გამოყოფილი თანხები სხვა მიმართულებით მიდის. მაინტერესებს, საიდან მოიტანეს პრეზიდენტმა და მისმა გარემოცვამ ძვირადღირებული ჯიპები. აგვისტოს ომამდე მათ ასეთი მანქანები არ ჰყავდათ, — ამბობს თედეევი.

ის ეჭვობს, რომ კოკოითი ისევ შეეცდება ხელისუფლებაში დარჩენას. ამ შემთხვევაში ის სამოქალაქო ომს არ გამორიცხავს.

არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით განცხადებას ის უახლოეს მომავალში გეგმავს. ჯერ ამისთვის არ სცალია. წინ რამდენიმე ტურნირი ელოდება. თედეევი ჯერ-ჯერობით ისევ რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

# ზაზა ხატიაშვილი: „ხათუნა კალმახელიძე ციხეში უნდა იჯდეს!“

## რატომ აწამებენ პატიმრებს

შორენა კოწოწაშვილი

**პენიტენციალურ სისტემაში არსებული უმძიმესი ვითარების შესახებ განცხადებები მუდმივად ისმის, თუმცა სააკაშვილი და მისი ხელისუფლება იგნორირებას უკეთებენ ამ პრობლემას. რევოლუციური ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ შიშის დათესვის პოლიტიკით მმართველობას იქამდე შეინარჩუნებს, სადამდეც სურვილი ექნება. ამიტომაც ქართულ საპატიმროებში ტევა აღარ არის და პატიმართა რაოდენობით საქართველომ ყველა რეკორდი მოხსნა.**

**„ახალი თაობა“ ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელ ზაზა ხატიაშვილს ესაუბრა.**

***— ბატონო ზაზა, თქვენ აცხადებთ, რომ გლდანის მე-8 საპყრობილეში ხდება პატიმრების გაუპატიურება და ამას ციხის ადმინისტრაცია აყურებინებს სხვა პატიმრებს, რაც არის ხელისუფლების მხრიდან ძალადობის მორიგი დემონსტრირება იმისათვის, რომ მათი მხრიდან გამოძიებამ სასურველი ღიარებითი ჩვენებები მიიღოს.***

— მე ერთს ვიტყვი: მეც და თქვენც მოვესწარით კომუნისტურ სახელმწიფოს, სადაც 9 მაისს აჩვენებდნენ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების სხვადასხვა ფილმებს. მაშინ ამ ფილმებით საბჭოთა კონიუნქტურა გვაჩვენებდა, როგორ აწამებდა ფაშისტური გერმანია საკონცენტრაციო ბანაკებში საბჭოთა პატიმრებს. საბჭოთა კავშიროს დროსაც კი ასეთი დიდი ფანტაზიით ვერ გამოირჩეოდა კინემატოგრაფი; ასეთი ფორმის წამებებს საბჭოთა რეჟიმიც კი ვერ აბრალებდა ფაშისტურ გერმანიას, რასაც სინამდვილეში ადგილი აქვს მე-8 საპყრობილეში და, საერთოდ, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. მე როდესაც წავიკითხე პატიმარ არქანიას ახსნა-განმარტება, ამან ნამდვილად შემძრა. ვიცოდი, რომ პატიმრების გაუპატიურება ხდებოდა, მაგრამ ამას ღიად არცერთი პატიმარი არ წერდა. არქანია ვაჟკაცურად მოიქცა და სახალხო დამცველის სახელზე განცხადება დაწერა და ყველაფერი ღიად თქვა, რაც ციხეებში ხდება და რასაც აიძულებდნენ. აქედან გამომდინარე, ჩვენ არქანიას გვერდში დავუდექით.

***— სახალხო დამცველის სახელზე არქანიას მიერ შეტანილ განცხადებას მსვლელობა მიეცა?***

— მე პირადად შევიტანე საჩივარი, როგორც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ. პატიმარ არქანიას მიმართი განხორციელებულ წამებასა და არაადამიანური მოპყრობის გამო მოვითხოვე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. საჩივარი შეიტანა არქანიას ადვოკატმაც. ჩვენ ველოდებით ორთვიან ვადას, რომლის შემდგომაც საჩივარი გაიგზავნება სტრასბურში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ოჯახმა მოინდომა და თუ ყველას არ დააშინებენ. ვფიქრობ, აუცილებლად დაჯდება საბრალდებო სკამზე ყველა ის პირი, ვინც ასეთ არაადამიანურ მოპყრობას ახორციელებდა არქანიას მიმართ.

***— ბატონო ზაზა, რატომ არ იცვლება ციხეებში ვითარება მძიმე შეფასებების და დასკვნების ფონზე?***

— ცვლილებები ხდება, რა თქმა უნდა, ოღონდ ეს ცვლილებები ემსახურება ადამიანების უფრო მეტ ჩაგვრას, ცემა-წამებას და დამცირებას. ცვლილებები ხდება მარტო უარყოფითი კუთხით. მე უბრალოდ მინდა, რომ როგორც მე ვიბრძვი უკანონობის წინააღმდეგ, ყველა სეგმენტმა ასე იბრძოლოს. როგორც კი ყველა აქტიურად დაიწყებს ბრძოლას საკუთარი უფლებებისა და შელახული ღირსების აღსადგენად, მაშინ სააკაშვილის რეჟიმი დამთავრდება.

***— როგორ ფიქრობთ, მინისტრ კალმახელიძეს საერთოდ არ აინტერესებს პატიმრების მდგომარეობა თუ შეგნებულად მიდის ამაზე?***

— იცით რა, თქვენგან მიკვირს ეს კითხვა. კალმახელიძისგან მოდის ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა.

***— ანუ მინისტრი ხათუნა კალმახელიძეა ამ სადისტური ქმედებების ინიციატორი და ამ პოლიტიკის გამტარებელი?***

— როცა მინისტრმა იცის, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფ ციხეებში ასეთი საშინელი ფაქტები ხდება და ამაზე ხმას არ იღებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პოლიტიკის თანახმაა. მდუმარე თანხმობა არის თანამონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში. სისხლის სამართლის კოდექსში არის მუხლი — დანაშაულში თანამონაწილეობა. აქედან ერთიერთი არის უშუალო აღმსრულებელი, მეორე — დამხმარე. ციხეების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე არის დამხმარე, თავისი მდუმარე თანხმობით, რასაც მე-8 საპყრობილეში და სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აკეთებენ პატიმრების მიმართ. სახალხო დამცველმა ტუღუშმა ვაჟკაცურად მისწერა ხათუნა კალმახელიძეს წერილი და მოითხოვა მე-8 საპყრობილიდან არქანიას გადაყვანა. კალმახელიძემ კი სახალხო დამცველს მოსწერა — არქანიას მიმართ არაფერი ირღვევა და ამიტომ არანაირი საშიშროება არ არის იმისა, რომ მას რაიმე საფრთხე დაემუქროს. ამიტომ არქანიას არსად გადავიყვანთო. მე თქვენ გეკითხებით, ამის შემდეგ, როდესაც სახალხო დამცველი გამოდის პარლამენტში და კალმახელიძის უწყებაზე ამბობს, რომ ხდება სიკვდილის ესკორტი, როდესაც პატიმრები ერთი ადგილიდან მეორეში გადაჰყავთ, სახალხო დამცველმა მეტი რაღა უნდა თქვას, დედის გინებას ხომ არ დაუწყებს?! აქედან გამომდინარე უნდა ჩავთვალოთ, რომ ის საშინელებები, რაც ციხეებში ხდება, მოდის სასჯელაღსრულების მინისტრ ხათუნა კალმახელიძისგან.

***— რატომ არ ხსნის პრეზიდენტი კალმახელიძეს თანამდებობიდან, თუნდაც ფასადური ცვლილებისთვის?***

— სააკაშვილის რეჟიმი დგას კალმახელიძის უწყების მხრიდან ადამიანების წამებაზე და სასამართლოს უკანონო განაჩენებზე კუბლაშვილის უწყების მხრიდან. ხელისუფლების სქემა მარტივია: ადამიანი ციხეში რომ შედის, ნებისმიერი დანაშაული უნდა აღიაროს. ერთხელ კახეთში პატიმარმა აღიარა ისეთი ადამიანის მკვლელობა, რომელიც ცოცხალი იყო. წარმოიდგინეთ, რა დონეზე უნდა გაწამონ. ასეთ უმძიმეს ფაქტებზე ამერიკის ელჩი არ გამოვარდება და ობიექტურ შეფასებას არ გააკეთებს. პირდაპირ გეტყვით, ხათუნა კალმახელიძე არის სისხლის სამართლის დამნაშავე და ის ციხეში უნდა იჯდეს. კალმახელიძეს კი იმ შემთხვევაში დასჯიან, თუ სააკაშვილს ევროკავშირი პერსონა ნონგრატად ცნობს. პრობლემა მხოლოდ კალმახელიძეში არ არის. პრობლემაა სახელმწიფოს მართვის სისტემაში, რომელიც აგებულია უნამუსო სასამართლოს განაჩენებზე და ადამიანების წამებაზე.

***— ასეთი უმძიმესი კონკრეტული ფაქტები, რასაც ამ ბოლო პერიოდში აქვს ადგილი ქართულ ციხეებში, საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციებისთვის და ევროსაბჭოსთვის ცნობილია?***

— არქანიას ფაქტთან დაკავშირებით მე შევხვდი ევროსაბჭოს ელჩს და პირადად გადავეცი ჩემი განცხადება და არქანიას ახსნა-განმარტება. პირადად გავუგზავნე ბაროზოს და ტომას ჰამერბერგს. ფაქტი ცნობილია წითელი ჯვრისთვისაც. აგრეთვე, ადვოკატებმა — ეკა ბესელიამ, გელა ნიკოლეიშვილმა, ქეთევან ბექაურმა და მანანა კობახიძემ — მიიღეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება, რომ შესულიყვნენ არქანიასთან და განეხორციელებინათ მონიტორინგი. რამდენიმე კვირის მანძილზე არქანიასთან ადვოკატებს არ უშვებდნენ. ციხის ადმინისტრაცია ამბობდა, რომ თავად არქანიამ აიცილა ადვოკატი იმ მიზეზით, რომ არ ვიცნობო. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ყველაზე ცნობილი ადვოკატები შევიდნენ მონიტორინგის მიზნით მასთან მე-8 საპყრობილეში. არქანია იმას ხომ ველარ იტყოდა, ეკა ბესელიას, გელა ნიკოლაიშვილს და ქეთი ბექაურს არ ვიცნობო.

***— თქვენც ამბობთ, რომ საერთაშორისო დონეზე ცნობილია სააკაშვილის ხელისუფლების სისასტიკე. რადგან ამის აღმოფხვრა არ ხდება, გამოდის, რომ დასავლეთი საქართველოში ამ პოლიტიკას მხარს უჭერს?***

— რადგან ამერიკა სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურას“ ეძახის, აქ არაფერი იცვლება. ამიტომ, ევროპა უნდა დავარწმუნოთ, რომ სააკაშვილი არის სამოქალაქო საზოგადოების მტერი. სანამ სააკაშვილი იქნება შუქურა და პრესაში მასზე აღმატებით ხარისხში ისაუბრებენ, აქ არაფერი შეიცვლება. უცხოელებს არ აქვთ ბევრი ინფორმაცია. ამიტომ არის საჭირო რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის გახმაურება.

***— რატომ არ აინტერესებთ დონორ ორგანიზაციებს, რა პოლიტიკას ემსახურება მათ მიერ გამოყოფილი მილიონები, რომლებიც სასამართლოს და ციხის რეფორმის ფარგლებში შემოვიდა და შემოდის? ამ მხრივ საქართველოს ხელისუფლების მონიტორინგი რატომ არ ხდება?***

— როდესაც ჩვენ, ადვოკატებმა, ევროსაბჭოსთან პროტესტის ნიშნად ბორკილები დავიდეთ, ეს გამიზნულად გავაკეთეთ. ჩემს განცხადებაში მე მოვითხოვე ევროსაბჭოსგან, გააკონტროლოს ეს უნამუსო სასამართლო სისტემა, რომლის განვითარებისთვის ამდენი მილიონი დაიხარჯა. როგორმე უნდა ვაიძულოთ ევროკავშირი და ევროსაბჭო იაზროვნონ ისე, როგორც აზროვნებენ ბელარუს დიქტატორთან მიმართებაში. ანუ ორმაგ სტანდარტს შეეშვან.



# ექვსიანში შემავალი პარტიები ალასანიას აუჯანყდნენ?

ქეთი ხომერიკი



„ახალი თაობის“ კომპეტენტური წყაროს ინფორმაციით, ექვსიანში შემავალ პარტიების ლიდერებს შორის შავ კატას გაურბენია. წყარო ირწმუნება, რომ ექვსიანში ბოლო კვირების განმავლობაში დიდი დაპირისპირება და შეხლა-შემოხლაა. ექვსიანში შემავალი პარტიების ლიდერები მათ არაოფიციალურ ლიდერ, ირაკლი ალასანიაზე ყოფილან განაწყენებულები.

ინფორმირებული წყაროს თქმით, განაწყენების რამდენიმე მიზეზი არსებობს. თურმე მან უარი უთხრა დანარჩენებს, ერთიანი სიის დაწერაზე.

მეორე, ალასანია დაჰპირდა ექვსიანში შემავალ რამდენიმე პარტიის ლიდერს, რომ აშშ-ში ერთობლივი ვიზიტი ექნებოდათ, გადააგდო, მარტო წავიდა.

მესამე, ახლაც მარტო დადის რეგიონებში, ხუთეულის გარეშე.

მეოთხე, ამერიკელებმა მოთხოვეს ალასანიას ბოლო ვიზიტისას ექვსიანში შემავალი პარტიების და მათი ლიდერების, განსაკუთრებით, კობა დავითაშვილის და ზვიად ძიძიგურის მოშორება.

მეხუთე, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თავად ალასანიას პარტიაც, მისი წარმომადგენლებიც წინააღმდეგნი არიან, ამ ხუთეულთან ერთად ბლოკის შექმნისა.

„ახალი თაობა“ სარწმუნო წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადასამოწმებლად „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები“-ს ლიდერს ირაკლი ალასანიას დაუკავშირდა.

**ირაკლი ალასანია:**

— ისეთი საქმიანი და კარგი ურთიერთობები, როგორიც დღეს ექვსიანშია, იშვიათია, რომ სხვადასხვა პარტიებს შორის იყოს. არანაირი საფუძველი მაგ ინფორმაციას არ აქვს, აი, ასე დაწერეთ.

„ახალი თაობა“ ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად, წყაროს სიტყვებით, თუ ვიტყვით, ამერიკელებისათვის მიუღებელ ფიგურას, ეროვნული საბჭოს ერთ-ერთ ლიდერს, კობა დავითაშვილსაც დაუკავშირდა.



**კობა დავითაშვილი:**

— რეგიონები ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ძალიან კარგია, რომ ალასანია იქ არის. ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, ექვსიანში არანაირი დაპირისპირება არ არის. ჩვენ ჩვეულებრივად ვმუშაობთ.

# „სახალხო კრება“ ბიწაძის პროცესზე ნონა გაფრინდაშვილის დაკითხვას ითხოვს





„სახალხო კრება“ პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის მეუღლის ბადრი ბიწაძის სასამართლო პროცესზე „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის ნონა გაფრინდაშვილის დაკითხვას ითხოვს.

ამის შესახებ კრების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, რომლის თანახმად, მოწმის სტატუსით დაკითხვის სურვილი თავად ნონა გაფრინდაშვილმა გამოთქვა.

— აღმასრულებელი საბჭოს წევრები ვუერთდებით ნონა გაფრინდაშვილის თხოვნას და მივმართავთ სასამართლოს, გადაწყვეტილების მიღება 2 დღით გადადოს, რათა ნონა გაფრინდაშვილმა საქართველოში დაბრუნება და სასამართლოსთვის ჩვენების მიცემა მოასწროს, — ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, „სახალხო კრებისთვის“ გაუგებარია, ბიწაძის პროცესი დაჩქარებული ტემპით რატომ წარიმართა.

— აღნიშნული საქმეში არსებულ ისედაც უამრავ კითხვის ნიშნებს კიდევ უფრო ზრდის, ვინაიდან ის ადამიანები არ დაკითხულან, რომლებსაც ბადრი ბიწაძის ბრალეულობასთან დაკავშირებით, შეიძლება, უტყუარი ინფორმაცია ჰქონდეთ. საზოგადოებას ვაცნობებთ, რომ სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარემ ნონა გაფრინდაშვილმა სასამართლოს 2-ჯერ მიმართა წერილობით იმის თაობაზე, რომ ვინაიდან, თავად ამჟამად საქართველოში არ იმყოფება, სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანა 2 დღით გადადოს. სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭო მიიჩნევს, რომ თუ სასამართლო მართლაც დაინტერესებულია ჭეშმარიტების დადგენით, მაშინ ბადრი ბიწაძის საქმეზე სახალხო კრების ხელმძღვანელის ნონა გაფრინდაშვილის დაკითხვა აუცილებლად უნდა მოხდეს, ვინაიდან მას, როგორც აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარეს, ნამდვილად ღირებული ინფორმაციები გააჩნია, რომელიც შეიძლება, სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში დაეხმაროს, — აცახდებენ კრების წევრები. **პირველი**

## ომის დაწყება ენგურის ხიდთანაც გააპროტესტეს

თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა ირაკლი ალასანიამ გუშინ, 14 აგვისტოს, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების დღესთან დაკავშირებით, ენგურის ხიდთან განცხადება გააკეთა.

— 14 აგვისტო არის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღე საქართველოს უახლესს ისტორიაში; ამ დღიდან დაიწყო კონფლიქტი აფხაზებსა და ქართველებს შორის, რომელიც წლების მანძილზე დიდ ტრაგედიაში გადაიზარდა, — განაცხადა ალასანიამ.

თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა პატივი მიაგო საომარი მოქმედებების დროს დაღუპულებს და აღნიშნა, რომ ტრაგედია ერთანაირად მძიმე იყო, როგორც ქართველებისთვის, ასევე აფხაზებისთვის.

მისი თქმით, დღეს რისი გაკეთებაც შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას, ეს არის ის, რომ შეუმსუბუქოს ყოფა დევნილობაში მყოფ 250 ათასზე მეტ ადამიანს, რომლებმაც ამ დიდი ტრაგედიის შემდეგ თავი უფრო დაჩაგრულად არ იგრძნონ.

— სამწუხაროდ, ამას არ ითვალისწინებს ჩვენი ხელისუფლება და მათ მიერ დაშვებულმა შეცდომებმა, კიდევ უფრო დააშორეს ქართველები და აფხაზები ერთმანეთს, - დასძინა ალასანიამ.

თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა ასევე ისაუბრა აფხაზებსა და ქართველებს შორის დიალოგის დაწყების აუცილებლობაზე. ალასანიას განცხადებით, მხოლოდ დიალოგი შეუწყობს ხელს იმ დიდი პრობლემის გადაწყვეტას, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას გულისხმობს.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებიდან გუშინ 19 წელი შესრულდა.

**ინტერპრესნიუსი**

## გმირთა მემორიალი ომში დაღუპულთა დედებმა გვირგვინებით შეამკეს

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი ომში დაღუპულთა დედათა კავშირ „არდავიწყების“ წევრებმა გვირგვინებით შეამკეს. დაღუპულთა დედებთან ერთად გმირთა მოედანზე ვეტერან მეთაურთა საბჭოს წევრებიც მივიდნენ.



აფხაზეთიდან დევნილებმა მემორიალთან სანთლები დაანთეს, სასულიერო პირებმა კი დაღუპულ მებრძოლთა სულებისთვის პანაშვიდი გადაიხადეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მემორიალთან მისულმა ადამიანებმა განუცხადეს, ქართულმა მხარემ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ 14 აგვისტო შერიგების დღედ აქციოს და აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებები დაიწყოს.

დევნილები იმასაც ამბობდნენ, რომ საომარი მოქმედებების დაწყებიდან 19 წლის შემდეგ აფხაზეთის დაბრუნებისა და შერიგების თვალსაზრისით არაფერი გაკეთებულა.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებიდან დღეს 19 წელი სრულდება. სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო.

აფხაზეთში სამხედრო დაპირისპირება 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა და 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემით და საქართველოს შეიარაღებული ძალების მარცხით დასრულდა.

ქართული მხარის ჯერაც დაუზუსტებელი მონაცემებით, აფხაზეთში 1992-93 წლებში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებისას, ქართული მხრიდან 10 ათასზე მეტი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. 300 ათასი აფხაზეთიდან დევნილი ქართველი უსახლკაროდ დარჩა. აფხაზური მხარის მონაცემებით კი, დაიღუპა 3 500 და დაიჭრა 2 ათასამდე აფხაზი.

**ინტერპრესნიუსი**

## ზაზიშვილის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის სახურავს ხანძარი გაუჩნდა

თბილისში, ზაზიშვილის ქუჩაზე ხანძარი გაჩნდა. საგანგებო სიტუაციების სამსახურის ინფორმაციით, ხანძარი ზაზიშვილის მესამე შესახვევში საცხოვრებელი სახლის სახურავს გაუჩნდა; ცეცხლი 100 კვ მეტრ სახურავს მოედო.

ადგილზე ექვსი სახანძრო და ერთი სამაშველო ბრიგადა მუშაობდა. ხანძრის ლიკვიდაცია რამდენიმე წუთში მოხერხდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

**ინტერპრესნიუსი**

# თენგიზ კიტოვანი: „ანქვაბი ჩვენზე მუშაობდა“

## ირაკლი ბათიაშვილი: „ანქვაბი ჩვენი აგენტი არ ყოფილა“

თეა მარხვაიძე

**არჩევნების წინ ჩვენებურ პოლიტიკოსებს პრორუსულობას სდებენ ბრალად, აფხაზები კი კონკურენტებს პროქართულობაში ადანაშაულებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით „შავად“ აქვს საქმე პრეზიდენტობის კანდიდატ ალექსანდრე ანქვაბს. ეს უკანასკნელი ქართველებთან კარგი ურთიერთობის გამო აფხაზებს არაერთხელ გაუკრიტიკებიათ. ეს ბრალდებები ჯერ კიდევ აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროიდან ისმის.**





არჩევნებამდე 12 დღით ადრე საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა ანქვაბის კონკურენტებს კარგი საჩუქარი გაუკეთა. უცნაური განცხადებებით ცნობილი კიტოვანი ამტკიცებს, რომ ანქვაბი საქართველოზე მუშაობდა.

ეს განცხადება მოსკოვში მცხოვრებმა ქართველმა ექს-მინისტრმა ინტერნეტპორტალ„მოსპრავდასთან“ საუბრისას გააკეთა.

— ანქვაბი 1990-იან წლებში თბილისს ყველა ინფორმაციას აწვდიდა, რასაც ზემდგომი ორგანოები უბრძანებდნენ. იმ დროისთვის საქართველო ერთიანი სახელმწიფო იყო და ანქვაბის მოქმედებაში დანაშაულებრივი არაფერი ყოფილა.

იგი ასევე აღნიშნავს, რომ სოხუმის აღების დროს ანქვაბი ქართულ მხარეს დახმარებას უწევდა. საუბარია 1993 წლის 16-17 მარტის ოპერაციაზე, რომლის დროსაც მოწინაალმდეგემ თითქმის აიღო ქალაქი.

თენგიზ კიტოვანის ბრალდებები სასაცილოდ ეჩვენება ირაკლი ბათიაშვილს, რომელიც აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის შეფი იყო.

— მე იმ დროს ვხელმძღვანელობდი სადაზვერვო სამსახურს. კიტოვანის ნათქვამი სიმართლე თუა, მაშინ ანქვაბს ჩემთვის უნდა მოეწოდებინა ინფორმაციები. ის იყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი. მას ჩვენზე არ უმუშავია. ის ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდა, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ირაკლი ბათიაშვილმა.

ინფორმაციებს, მართალია, არ აწვდიდა, მაგრამ ქართველ ძალოვნებს ის საკმაოდ ხშირად ხვდებოდა.

— ომის დროს მოწინააღმდეგე მხარეებს ერთმანეთთან კონტაქტი აქვთ. ჩვენც გვქონდა აფხაზებთან კონტაქტი. ჩემი მოადგილე იყო ავთო იოსელიანი, რომელიც პარალელურად აფხაზეთის უშიშროების მინისტრიც იყო. ჩვენ რამდენჯერმე შევხვდით ანქვაბს. მასთან პირადადაც მისაუბრია. უფრო ხშირად ის და იოსელიანი ხვდებოდნენ ერთმანეთს, — ამბობს ბათიაშვილი.

ქართველი და აფხაზი ძალოვნების საუბრის მთავარი თემა ტყვეების გაცვლა იყო.

— მისი წყალობით ძალიან ბევრი ქართველი ტყვე გათავისუფლდა, — ამბობს უშიშროების ექს-მინისტრი.

ანქვაბს ქართული პოლიტიკის გატარებას ბრალად აფხაზეთშიც ხშირად სდებენ. როგორც ამბობენ, სწორედ ამიტომ გაათავისუფლა ის არძინბამ ომის დასრულების შემდეგ შს მინისტრის პოსტიდან და არა მარტო გაათავისუფლა, ის იძულებული გახადეს, აფხაზეთი დაეტოვებინა. ქართველ პარტიზანთა ლიდერმა ზურაბ სამუშიამ თავის დროზე „ახალ თაობასთან“ განაცხადა, რომ, არძინბას დავალებით, მისი მოკვლაც კი სცადეს. ის სოხუმის ერთ-ერთ სასაფლაოზეც კი აუყვანიათ, თუმცა ბოლო მომენტში მან თავის დაღწევა მოახერხა.

აი, რას ამბობს ანქვაბზე „ექსპერტთა კლუბის“ წარმომადგენელი ირაკლი ცქიტიშვილი:

— დამოკიდებულება ანქვაბისადმი აფხაზეთში არაერთგვაროვანია. შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს ის ქართულ მხარესთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს ტყვეთა და დაღუპულთა ცხედრების გაცვლის თაობაზე. 1993 წლის ბოლოს ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მიზეზად იქნა დასახელებული ის, რომ მან ვერ შეასრულა ხელმძღვანელობის დავალება და ვერ გადაარჩინა დახვრეტას აფხაზეთის ქართული მთავრობის ხელმძღვანელები, რომელთა შორის იყვნენ ჟიული შარტავა და სოხუმის მერი გურამ გაბისკირია. თვითონ ანქვაბი აცხადებდა, ნახევარი საათით რომ არ დამგვიანებოდა, მათ დახვრეტას ვერ მოასწრებდნენო.

ცქიტიშვილის თქმით, გარკვეული აფხაზური წრეები ანქვაბს ბრალად სდებდნენ „კაპიტულანტურ“ დამოკიდებულებას და ოფიციალური ქართული სამხედრო შენაერთებისთვის შესაბამისი წინააღმდეგობის არგაწევას.

— მას აბრალებდნენ ქართული საჯარისო ფორმირებების მოძრაობის გზაზე ხიდების აფეთქების ოპერაციის ჩავარდნას, — ამბობს ირაკლი ცქიტიშვილი.

1984 წელს ანქვაბს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა და ხელმძღვანელობდა სამინისტროს პოლიტიკურ აპარატს.

მანამდეც, 1981-1983 წლებში, მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

ანქვაბთან არის დაკავშირებული 1992 წლის მაისში აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში მომხდარი სკანდალი. მაშინ აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა. ამ დროისთვის ეს თანამდებობა გივი ლომინაძეს ეკავა, რომელმაც აღნიშნულ დანიშვნას წინააღმდეგობა გაუწია იმ მოტივით, რომ ის არ იყო შეთანხმებული თბილისთან. ამის შემდეგ აფხაზური უკანონო შენაერთი, რომელიც შექმნა არძინბამ და აფხაზების სეპარატისტული ზრახვების დამფინანსებელთა მიერ იქნა შეიარაღებული, შეიჭრა სამინისტროში და გამოაძევა იქიდან ლომინაძე, რის შემდეგაც ანქვაბი შეუდგა მოვალეობების შესრულებას.

— ალექსანდრე ანქვაბი არის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელი. მას იცნობენ, როგორც ხისტ, მაგრამ სამართლიან ადამიანს. ითვლება კორუფციის დაუძინებელ მტრად. არის „ძლიერი ხელის“ მომხრე. თავის გამონათქვამებში არის ძალიან თავშეკავებული, რის გამოც გაურბის მედიასთან ურთიერთობას, — ამბობს ირაკლი ცქიტიშვილი.

ანქვაბი საკმაოდ სერიოზული ფიგურაა. ამაზე მასზე განხორციელებული ტერაქტებიც მეტყველებს. 2005 წლიდან დღემდე ალექსანდრე ანქვაბზე ხუთი ტერაქტი განხორციელდა.

პირველად მას 2005 წელს დაესხნენ თავს. მაშინ მას პრემიერის პოსტი ეკავა. 2005 წლის თებერვალში მის ესკორტს ცეცხლის გაუხსნეს.

ანალოგიურ ვითარებაში განხორციელებულ მეორე თავდასხმას გადაურჩა ის 2005 წლის აპრილშიც. მის ავტომობილს ცეცხლი გაუხსნეს ავტომატური იარაღიდან. ჯიპში დათვალეს 17 ნატყვიარი. თავად ანქვაბი არ დაზარალებულა. დაიჭრნენ დაცვის თანამშრომელი და მანქანის მძღოლი.

მესამე შემთხვევას 2007 წლის ივნისში ჰქონდა ადგილი, როცა აფხაზურმა ინტელიგენციამ განაცხადა, რომ აფეთქებული დისტანციური მართვის ნაღმის „ფუგასის“ სამიზნე ანქვაბი იყო.

მეოთხე თავდასხმა კი ყოფილ პრემიერზე იმავე წლის ივლისში განხორციელდა, როცა მის მანქანას ყუმბარმტყორცნიდან ესროლეს და შედეგად მან მცირე დაზიანება მიიღო ზურგის არეში.

თავდასხმები მასზე არც ვიცე-პრეზიდენტობის დროს შეწყვეტილა. ეს თანამდებობა მან 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიკავა.

2010 წლის 22 სექტემბერს, დილის 04:00 საათზე, გუდაუთის რაიონში ალექსანდრე ანქვაბის ნათესავების სახლს, სადაც ვიცე-პრეზიდენტი ბოლო წლებია, ცხოვრობს, ყუმბარმტყორცნიდან ცეცხლი გაუხსნეს.

ანქვაბი ყუმბარის ნამსხვრევებისგან ხელსა და ფეხში დაიჭრა. როგორც თავად ანქვაბმა განაცხადა, უცნობების მიერ ყუმბარმტყორცნიდან ნასროლი ჭურვი იმ ოთახში შევარდა (სხვა ვერსიით, სახლის სახურავს მოხვდა), სადაც ეძინა.

სროლის შედეგად სხვები არ დაშავებულან, ვიცე-პრეზიდენტს კი აუცილებელი სამედიცინო დახმარება სახლის პირობებში ჩაუტარდა, რადგან მან უარი განაცხადა საავადმყოფოში გადაყვანაზე.

საინტერესოა, რომ ალექსანდრე ანქვაბზე განხორციელებული თავდასხმებიდან დღემდე არც ერთი არ არის გახსნილი.

კულუარული ინფორმაციით, ტერაქტების მიზეზები მასსა და აფხაზეთის მუსლიმანურ თემს შორის დაძაბული ურთიერთობებით იყო განპირობებული.

## იანუკოვიჩი ყველაზე მაღალანაზღაურებადი პრეზიდენტების სამეულში მოხვდა



უკრაინის პირველი პირი ვიქტორ იანუკოვიჩი მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი პრეზიდენტების სამეულში მოხვდა. „კორესპონდენტის“ ინფორმაციით, ქვეყნის ეკონომიკასთან მიმართებაში დაანგარიშებული მაჩვენებლით იანუკოვიჩის შემოსავალი საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისა და გერმანიის ლიდერ ანგელა მერკელის ხელფასსაც კი აღემატება. იანუკოვიჩი ამ მაჩვენებლით მხოლოდ ბარაკ ობამასა (აშშ) და დიმიტრი მედვედევს (რუსეთი) ჩამორჩება.

გამოცემის ინფორმაციით, ერთი დღის განმავლობაში იანუკოვიჩის ხელფასი დაახლოებით იმ თანხას შეადგენს, რასაც საშუალოდ 675 უკრაინელი ერთი თვის განმავლობაში იღებს. ბარაკ ობამას ერთი დღის ხელფასს 1,275 ამერიკელი საშუალოდ მთელი თვის განმავლობაში გამოიმუშავებს, ხოლო მედვედევის ერთი დღის შემოსავალის ანალოგიურ თანხას 977 რუსი ერთ თვეში იღებს.

**მედიანიუსი**

## კახეთში ავტოსაგზაო შემთხვევას ორი ადამიანი ემსხვერპლა

კახეთში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ორი ადამიანი ემსხვერპლა.

თბილისიდან გურჯაანის მიმართულებით მიმავალი ავტომანქანა ბარჯისხევის მონაკვეთზე სიმაღლიდან გადავარდა და ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში შევარდა. ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა, რის შედეგადაც მანქანაში მყოფი ორივე მგზავრი დაიწვა.

ცხედრების გამოყვანა მხოლოდ მაშველებისა და სპეციალური ტექნიკის დახმარებით გახდა შესაძლებელი.

## ბათუმში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად შვიდი ადამიანი დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა გუშინ საღამოს ბათუმში. აეროპორტის გზატკეცილზე ერთმანეთს „ფორდის“ მარკის სამარშრუტო ტაქსი და „ბე-ემ-ვე“-ს მარკის მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

თვითმხილველების განცხადებით, შედეგად შვიდი ადამიანი დაშავდა. ისინი სასწრაფო დახმარების მანქანებით რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ერთ-ერთ მათგანს ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. დანარჩენები რეანიმაციულ და ნეიროქირურგიულ განყოფილებებში არიან მოთავსებული.

ავარიის მიზეზი დგინდება. შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო და სამაშველოს სამსახურის ბრიგადები.

**ინტერპრესნიუსი**

# ვინ იყიდა სასტუმრო „აფხაზეთი“

ნინო მეტრეველი



საქართველოს ხელისუფლება დევნილების გადასახლებაზე ზრუნვის პროცესს ასრულებს.

— ჩვენ, ქართველ საზოგადოებას და პოლიტიკოსებს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში არსებობენ ადამიანები, ვინც დაკარგა ყველაფერი — სახლ-კარი, სამსახური, ცხოვრება და დაკარგა რუსული აგრესიის და ოკუპაციის გამო, რომელიც დღემდე გრძელდება. ამიტომ, ყოველთვის ყველა მოლაპარაკების და პოლიტიკური პროცესის დროს დევნილთა უფლებების დაცვა უნდა იყოს ქართული პოლიტიკის, საქართველოს დიპლომატიის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი და ქვაკუთხედი, — განაცხადა ცოტა ხნის წინ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე.

7 აგვისტოს, ანუ რუსული ოკუპაციის სამი წლისთავის წინა დღეს, სასტუმრო „აფხაზეთში“ მცხოვრებმა ცხინვალელმა დევნილებმა მიიღეს ცნობა, რომ ერთ კვირაში უნდა დაცალონ საცხოვრისი. როგორც კონსერვატორი ლაშა ჩხარტიშვილი ამბობს, მოლაპარაკებას დევნილებთან კომპანიის წარმომადგენელი კი არა, დევნილთა სამინისტრო აწარმოებდა და იმის ნაცვლად, რომ სუბელიანის უწყებას დევნილების უფლებები დაეცვა, მათ გამოსახლებაზე ზრუნავდა.

კომპანია, რომელმაც „აფხაზეთის“ მკვიდრებიააწიოკა, კომპანია „ველაჯიოა“. მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი ლევან კალმახელიძეა. ამან დევნილებს გაუჩინა ეჭვი, რომ ის სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრ ხათუნა კალმახელიძის ძმაა. ინფორმაცია ჭორი აღმოჩნდა. „ველაჯიოს“ დირექტორი მიხეილ ჯიქიაა და კომპანიის ოფისიც იქვე, ვაჟა-ფშაველაზეა.

კომპანიის ვებ-გვერდზე ვკითხულობთ, რომ ის ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა საქართველოს სარეკლამო ბაზარზე, რაც მოიცავს გარე და შიდა სარეკლამო ფართებს, მედია სტრატეგიას, კრეატივს, ღონისძიებების ორგანიზებას და მენეჯმენტს. კომპანიას აქვს სარეკლამო პოსტერების განთავსების ექსკლუზიური უფლებები თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში, ასევე ბილბორდები და სამგანზომილებიანი ფარები თბილისში, რუსთავში, მარნეულში, სიღნაღში, ფოთსა და ბათუმში. ეს კონკურენტული უპირატესობა უკვე ხელისუფლების კვალისკენ მიგვანიშნებს.

გარდა სარეკლამო ბიზნესისა, „ველაჯიო“ ეწევა უძრავი ქონებისა და სპორტული კომპლექსების მენეჯმენტს. წვრილ-წვრილ აუქციონებში უამრავი მიწის ნაკვეთის და შენობების ყიდვის გარდა, „ველაჯიო“-ს, ხელისუფლების ხელშეწყობით, აქვს მსხვილი შენაძენებიც. მაგალითად, გლდანში მდებარე ორი ჰა მიწის ნაკვეთი, რომელზე სამი წლის განმავლობაში უნდა აშენდეს სავაჭრო ცენტრი, თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოსგან ინვესტირების ვალდებულებით შეისყიდა.

„ველაჯიოს“ რომ უმაღლეს ეშელონებში მფარველი ჰყავს, ამაზე მეტყველებს პრემიერ ნოღაიდელის ხელმოწერილი განკარგულება, რომლითაც, 2007 წლის 12 ოქტომბერს, კომპანიას პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების მთავარი ცენტრის სპორტის სახეობათა ფილიალი „დიღომი“, დიღმის მასივის III კვ.; მიწის ფართობი — 8.440 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები; მ.მესხის სახელობის ფეხბურთის სპეციალიზებული ცენტრი „ავაზა“, დიღმის მასივის III კვ.; მიწის ფართობი — 13.039 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები და სოფელ დიღომში მიწის ფართობი 3.440 კვ.მ.

„ველაჯიო“ შედის „ვისოლ ჯგუფში“, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი ბიზნეს-ჯგუფია საქართველოში. 2007 წლიდან ის ენერგეტიკის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. მისი კუთვნილებაა: „ვისოლ პეტროლიუმი“, „ეარ ვისოლი“, „ვისოლ გაზი“, „ვისოლ ბუნკირება“, „ვისოლ გაზის სადისტრიბუციო კომპანია“, სამშენებლო კომპანია „დელტა“ და სარეკლამო კომპანია „ველაჯიო“. ახლახანს „ვისოლმა“ ამ კომპანიებს „ავტო ექსპრესი“ დაამატა. ამასთან, წელს „ვისოლ ჯგუფმა“ ბიზნეს საქმიანობის დივერსიფიკაცია გააგრძელა და სუპერმარკეტების ქსელ „სმარტის“ განვითარება დაიწყო.

ჯერ კიდევ გარკვეული არ არის, რა ბედი ეწევა სასტუმრო „აფხაზეთს“, მაგრამ, სავარაუდოდ, აქ ახალი სასტუმრო აშენდება, სადაც დევნილებს ალბათ აღარც მიაკარებენ.

# გია ხუხაშვილი: „საქართველოში ეკონომიკური პროცესები საერთოდ არ მიმდინარეობს“

**ქართული კომპანიების აქციების საერთაშორისო ბირჟაზე გატანის რეალურ მიზნებზე, ამავე აქციათა სავარაუდო შემძენებზე, ასევე ქართული ეკონომიკის პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში გია ხუხაშვილს ესუბრა.**

— *ბატონო გია, ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, რომ „საქართველოს რკინიგზის“, „სახელმწიფო ელექტროსისტემისა“ და „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ აქციების საერთაშორისო ბირჟებზე გატანას გეგმავს. ამისთვის ხელისუფლებამ მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებიც კი განახორციელა. თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს საერთაშორისო ბირჟებზე ამ კომპანიების მინორიტარული აქციების განთავსება? და კიდევ, მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რამდენად საფუძვლიანია ხელისუფლების მტკიცება, რომ ამგვარი ნაბიჯები ხელს შეუწყობს ქვეყანაში კაპიტალის მოზიდვას?*

— საერთოდ, ცივილური კომპანიების აქციების საერთაშორისო ბირჟაზე განთავსება თავისთავად ცუდი არ არის და ქვეყნისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. მთავარია, რომ მათზე კონტროლი სახელმწიფომ არ დაიკარგოს. როდესაც კომპანიები ღია გაყიდვებში მონაწილეობენ, ეს ნიშნავს, რომ კომპანიები თავისი საქმიანობით საერთაშორისო სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდნენ. ეჭვი მეპარება, რომ რომელიმე ეს კომპანია ამ სტანდარტებს აკმაყოფილებდეს და, შესაბამისად, მათით ღია ვაჭრობაში სერიოზული კერძო ინვესტორი დაინტერესდეს.

მე უფრო ველოდები გარკვეულ სქემას, რომლითაც წინასწარ დალაგებული კომბინაციის მეშვეობით მოხდება აქციების გარკვეული რაოდენობის გასხვისება. ბირჟა არის მექანიზმი, რომლითაც ქართული კომპანიების ნაწილის გასხვისება მოხდება. არა მგონია, ქართული კომპანიების აქციების შესყიდვით შემთხვევითი კერძო ინვესტორები დაინტერესდნენ. არც ერთი ინვესტორი ბნელ ოთახში „შავ კატას“ არ ყიდულობს. „საქართველოს რკინიგზა“ ინვესტორისთვის უფრო მეტად „შავი კატაა“, ვინაიდან ჩვენთვისაც კი მიუწვდომელია საკმარისი ინფორმაციის მიღება იმის თაობაზე, თუ რა ხდება და რა მდგომარეობაა „საქართველოს რკინიგზაში“. სამწუხაროდ, ამ კომპანიის საქმიანობა დიდი ხანია, საჯაროობას არ ექვემდებარება. თუ ვინმეს ილუზია აქვს, რომ ღია ბაზარზე გაუმჭვირვალე კომპანიებზე დიდი მოთხოვნა გაჩნდება, ეს ასე ნამდვილად არ იქნება. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ბირჟაზე „საქართველოს რკინიგზის“ აქციების გატანა ერთჯერადი მიზნით ხდებოდეს და საერთაშორისო ბირჟა მხოლოდ და მხოლოდ ფარული პრივატიზაციის მექანიზმად იქნას გამოყენებული.

— *აქციების სავარაუდო ინვესტორებზე რას იტყვით? იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებას ოფიციალურ მოსკოვთან ურთიერთობა პრაქტიკულად არ აქვს, საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ რუსული კომპანიების ხელში აღმოჩნდა. რამდენად სავარაუდოა, რომ საერთაშორისო ბირჟაზე დასახელებული კომპანიების აქციათა გატანის შემთხვევაში, ამავე კომპანიების აქციათა მფლობელები სწორედ რუსული კომპანიები აღმოჩნდნენ?*

— ჩვენ შემთხვევაში, ყველაზე „არასავარაუდო ინვესტორი“ ყოველთვის რუსეთია. პოლიტიკური ინტერესის გარეშე საქართველოს კომპანიების აქციების ყიდვის რეჟიმში ცივილიზებული კომპანიებისთვის შესვლა ბევრი მიზეზის გამოა მიუღებელი. პოლიტიკური ინტერესი უნდა იყოს, რომ ასეთი ტიპის შენაძენი საქართველოში განხორციელდეს. ასეთი პოლიტიკური ინტერესი, პირველ ყოვლისა, რუსეთს აქვს. ძალიან მაღალი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ ქართული კომპანიებისადმი ინტერესი რუსულმა კომპანიებმა შეიძლება გამოხატონ.

— *როგორც ირკვევა, საუბარია ბირჟაზე ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის გატანაზე, რომლის გაყიდვაზე თავის დროზე ბატონმა კახა ბენდუქიძემ არაერთხელ განაცხადა, მაგრამ მაშინ ვაშინგტონმა ქართულ მხარეს გაზსადენის გაყიდვა გადააფიქრებინა. ახლა ვინ შეიძლება იყოს ამ გაზსადენის პოტენციური ინვესტორი?*

— ისევ და ისევ რუსეთი. როგორც წინათ, ახლაც რუსეთის კონკურენტებად მისი პოლიტიკური კონკურენტები შეიძლება იყვნენ განხილული. ამ გაზსადენის კომერციული ფასი ნულის ტოლია. რეალურად, მას მხოლოდ პოლიტიკური ფასი აქვს. ამ გაზსადენის აქციების ინვესტორად მხოლოდ ის შეიძლება მოგვევლინოს, ვისაც მისადმი პოლიტიკური ინტერესი შეიძლება ჰქონდეს. ვიმეორებ, თუ ხელისუფლებამ ბირჟაზე კომპანიების მხოლოდ მინორიტარულ პაკეტს გაიტანს, ამაში დიდ საფრთხეს და დიდი აჟიოტაჟის საფუძველს ვერ ვხედავ.

— *ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ კომპანიების აქციების გასხვისება რუსეთის ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციაში შესვლას უკავშირდებოდეს ანდა იგივე გაზსადენით ერევანი ან ბაქო იყვნენ დაინტერესებული?*

— რადგან ჩვენ პოლიტიკურ ინტერესზე ვსაუბრობთ, აქ უკვე ყველაფერი შესაძლებელია. მსო-ც, სომხური, აზერბაიჯანული, რუსული ინტერესიც შესაძლებელია და სხვა ინტერესიც. ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ მთავარია, რომ ამ კომპანიების აქციების ბირჟაზე გატანისას შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს პოლიტიკასთან და არა - ბიზნესთან, რაც თავისთავად ძალიან ცუდია. როდესაც უცხო სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესი შენს ეკონომიკურ არეალში შემოდის, ამაში კარგი არაფერი არ არის.

— *პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა ამას წინათ გვამცნო, რომ ინფლაციის მაჩვენებელი **8,5%**-ს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ინფლაცია სულ ცოტა ხნის წინ ორნიშნა იყო, თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ინფლაციის დონის დაცემა და რამდენად რეალისტურად გამოიყურება ხელისუფლების მიერ ოფიციალურად გამოცხადებული ინფლაციის დონე?*

— ამ ციფრზე მე მაინც ვიკამათებდი. თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, კატეგორიული ვერ ვიქნები. რაც შეეხება ფასების ინდექსის შემცირებას, ახლა ზაფხულია და ეს ბუნებრივია. ზაფხულში გლობალური ეკონომიკის შეკუმშვის გამო ენერგომატარებლებზე ფასები მცირდება. ჩვენ, როგორც მომხმარებელი ქვეყანა, დიდწილად დამოკიდებული ვართ საერთაშორისო ბაზრებზე არსებულ ვითარებაზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოში ინფლაციის ტემპმა დაიწია, ეს ხელისუფლების დამსახურება სულაც არ არის. ეს უფრო გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს უკავშირდება და არა - ჩვენს ეკონომიკაში ჯანსაღი პროცესების დაწყებას.

— *ხელისუფლება იმედოვნებს, რომ საზოგადოება გაძვირებულ მგზავრობას, წყლის გადასახადის დენის გადასახადზე მიბმას, მუნიციპალურ ბაღებში გადასახადის დაწესებას, პურზე, შაქარსა და სხვა პროდუქტებზე ფასის მომატებას შეეჩვევა, მაგრამ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მცირეშემოსავლიანობის გათვალისწინებით ძნელი სავარაუდო არ უნდა იყოს, რომ მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი გაზრდილი გადასახადების გადახდას ცოტა ხანში ვერ შეძლებს. თქვენი აზრით, რატომ დგამს ხელისუფლება, არა მარტო ეკონომიკური თვალსაზრისით არარაციონალურ და პოლიტიკური თვალსაზრისითაც აშკარად არაპოპულარულ ნაბიჯებს?*



— ხელისუფლება მიიჩვია, რომ სოციალური რისკების მართვა, მისთვის ხელების გადაგრეხვის პრინციპით იოლია და იგი მუდმივად ერთი და იმავე ტექნოლოგიით მოქმედებს. ხელისუფლება ისეთ დროს დგამს რაც შეიძლება ბევრ არაპოპულარულ ნაბიჯებს, როცა საზოგადოებაში სოციალურ ნიადაგზე კონსოლიდაცია ვერ მოხდება. საშუალო სტატისტიკური ქართველი რომ გაკოტრებულია და მისი შემოსავლები ხარჯებზე გაცილებით ნაკლებია, ეს ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს და სოციალურ ტემპერატურას კიდევ უფრო მაღლა წევს. მაგრამ, ხელისუფლებას ისევ იმის იმედი აქვს, რომ საქართველოში სოციალური რისკის მაკონსოლიდირებელი ელემენტი არ არსებობს, ხოლო გათითოკაცებულ პროტესტს როგორღაც მოუვლის და მიხედავს. ხელისუფლებას კონკრეტული ადამიანის ბედი ხომ ნაკლებად აღელვებს. ხელისუფლებას აქვს იმის შიში, რომ მძლავრი სოციალური პროტესტის გამოხატვა ტალღისებურად არ დაიწყოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამგვარი პროტესტი დაიწყო, სამწუხაროდ, მას ამგვარი პროცესის მართვის იმედი იმის გამო აქვს, რომ ოპოზიციაში არ არიან იმ ტიპის პოლიტიკოსები, რომლებიც უარყოფითი მუხტის აკუმულირებას და ხელისუფლებისათვის პრობლემების შექმნას შეძლებენ. ჩვენს ქვეყანაში ხომ არც იმ ტიპის პროფკავშირები არსებობს, რომელიც ხალხის უკმაყოფილების ავანგარდში დადგომა შეუძლია. სინამდვილეში, რიგითი ქართველის ცხოვრება ყოველდღე უფრო მძიმე ხდება და ეს თავისთავად იმ თვალსაზრისით არის პრობლემა, რომ მათ გადაჭრაზე ხელისუფლება არც ფიქრობს.

— *ვითარებაში, როცა მსოფლიო ეკონომიკა კრიზისიდან ვერა და ვერ გამოდის, ხოლო ქვეყანაში ეკონომიკური ვითარების გამოსწორებისათვის ჩვენი რესურსები აშკარად არასაკმარისია, როგორია უახლოეს პერსპექტივაში ქართული ეკონომიკის თქვენეული პროგნოზი?*

— ძალიან სავალალო. პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთზეა გადაბმული. იმის გამო, რომ ეკონომიკური პროცესი საერთოდ არ მიმდინარეობს, მის გაუმჯობესებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. თვალი რომ გადავავლოთ ეკონომიკური აქტივობის სეგმენტებს, გრძელვადიან სეგმენტებს ვერ ნახავთ. რეალურად, ეკონომიკის მწარმოებლური სექტორი, რომლის მეშვეობითაც ქვეყანაში იქმნება დამატებითი ღირებულება და ახალი სამუშაო ადგილები, არ ვითარდება. ამ სექტორში ჩვენ სრული კატასტროფა გვაქვს. ჩვენი ეკონომიკა მომსახურების სფეროსა და ვაჭრობაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, პერსპექტივა არის ძალიან ცუდი. ამას ემატება პოლიტიკური რისკები, რომელიც უახლოეს მომავალში მათ შორის რუსეთის მხრიდან არის მოსალოდნელი. ეს მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს. საბოლოო ჯამში, ძნელი სათქმელია, ვინ ისარგებლებს ამ ყველაფრით და როდის დადგება კრიტიკული ზღვარი, რომლის იქითაც შეიძლება შეიქმნას ე.წ. სოციალური რევოლუციის წინაპირობა, ანუ ხალხს ცხოვრება აღარ შეეძლება, ხოლო ხელისუფლებას მართვა, თუმცა, სამწუხაროდ, პროცესები შეიძლება ძალიან სწრაფად განვითარდეს.

**ინტერპრესნიუსი**

# 112 ადვოკატი ციხეში უკანონოდ ზის

**ადამიანის უფლებების დამცველმა გიორგი თევზაძემ პრესკონფერენცია გამართა და ადვოკატთა უფლებების დაცვაზე ისაუბრა. გიორგი თევზაძემ ადვოკატების დაპატიმრებასთან დაკავშირებით ისაუბრა და ხელისუფლების მხრიდან მსგავსი სადამსჯელო აქციები დაგმო.**

გულიკო ბალაძე

მისი განცხადებით, საქართველოში ადვოკატები ვერ ახორციელებენ თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფი პირების უფლებების დაცვას. გიორგი თევზაძის განცხადებით, დღეისათვის 112 ადვოკატი იხდის სასჯელს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

გიორგი თევზაძე მოითხოვს ადვოკატთა უფლებების აღდგენას, რათა მათ შეძლონ თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფი პირების სრულყოფილი დაცვა. ადამიანის უფლებათა დამცველმა ვეტერანთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზეც გაამახვილა ყურადღება. ვეტერანთა ფედერაციამ შეიმუშავა ახალი კანონპროექტი ვეტერანთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.



ვეტერანთა ომბუდსმენ **გიორგი თევზაძეს** იმედი აქვს, რომ პარლამენტი განიხილავს ახალ კანონპროექტს.

***— ბატონო გიორგი, ბოლო დროს ადვოკატების მიმართ ხორციელდება დევნა და შევიწროება. ადვოკატთა უფლებების დარღვევის ფაქტებმა იმატა. რით ახსნით ამას?***

— მიმდინარეობს ადვოკატის ინსტიტუტის ინსტიტუციონალური დევნა. ამასთან დაკავშირებით ადვოკატთა ასოციაციის წევრებმა გამოვხატეთ ჩვენი პროტესტი, რადგან ადვოკატთა უფლებები ხშირად ილახება. ადვოკატთა ასოციაციაში შემოვიდა ადვოკატ ნათია ოტიაშვილის განცხადება, სადაც ის საუბრობს იმაზე, რომ სააღსრულებო ბიუროს თანამშრომლებმა უსაფუძვლოდ დაუწერეს ადმინისტრაციული ოქმი და დაადანაშაულეს კანონდარღვევაში, თითქოსდა იგი უშლიდა ხელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში, რის შემდგომაც ადმინისტრაციულმა სასამართლომ ადვოკატი ოტიაშვილი დააჯარიმა 400 ლარის ოდენობით. შემიძლია გითხრათ, საქმის შესწავლის შემდეგ დადასტურდა, რომ ნაირა ოტიაშვილის მხრიდან ადგილი არ ჰქონია კანონდარღვევას. ამ სახით ნათია ოტიაშვილს ხელი შეუშალეს მისი მარწმუნებლის ინტერესების სრულყოფილი დაცვის განხორციელებაში. დააკავეს ასევე ადვოკატი თამილა ქუთათელაძე. მას თაღლითობა დასდეს ბრალად. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, თამილა ქუთათელაძე პიროვნული დაპირისპირების მსხვერპლი გახდა. თამილა ქუთათელაძის წინააღმდეგ გამოიყენეს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირები, რაც მრავალ კითხვას ბადებს. ადვოკატი თამილა ქუთათელაძე თავს უკანონო პატიმრად მიიჩნევს და შიმშილობს.

***— პატიმრობაში მყოფი ადვოკატების მიმართ წაყენებული ბრალი რამდენად კანონიერია?***

— ჩვენი ინფორმაციით, დღეისათვის პატიმრობაში მყოფი 112 ადვოკატიდან უმეტესობა უკანონო პატიმარია.

***— თქვენ აცხადებთ, რომ ადვოკატები თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ვერ ასრულებენ. რა ხელისშემშლელი ფაქტორებია?***

— უპირველესად ხელისშემშლელი ფაქტორია ის, რომ არ გვაქვს დამოუკიდებელი სასამართლო. ამას საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციებიც აღიარებენ. საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებით, სასამართლო მოიკოჭლებს და დამოკიდებულია პროკურატურის ნებაზე. პროკურატურა და გამოძიება არ იზიარებს ადვოკატების მიერ დაყენებულ სამართლებრივად გამართულ შუამდგომლობებს. ადვოკატების მიმართ პოლიციის თანამშრომლების დამოკიდებულება ატარებს არაკოლეგიალურ ხასიათს. თითქოსდა ადვოკატების ფუნქცია ნულის ტოლია. ეს ყველაფერი კი კლიენტის თვალში ადვოკატის დისკრედიტაციას ახდენს. თუ გვინდა, გამოსწორდეს ადვოკატების მიმართ დამოკიდებულება და მათი როლი ქვეყანაში, სასამართლოსა და საერთოდ სამართალდამცავ ორგანოებში გაიზარდოს, მათ უნდა მიეცეთ საშუალება, განახორციელონ თავიანთი კლიენტების სრულყოფილი დაცვა. მხედველობაში მაქვს ადვოკატების მიერ დაყენებული შუამდგომლობების რეალური განხილვა და სამართლიანი და სწორი შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაში დაკმაყოფილდეს. დღეისათვის კი ნებისმიერ შემთხვევაში მოსამართლეები უარს ამბობენ ადვოკატების მიერ დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, თუ პროკურორი მხარს არ უჭერს შუამდგომლობას, რაგინდ სამართლიანი არ უნდა იყოს დაყენებული საკითხები.

***— თქვენ ხართ ვეტერანთა ომბუდსმენი და მოითხოვთ მათთვის კუთვნილი შეღავათების აღდგენას, შეიმუშავეთ ახალი კანონპროექტი და იმედი გაქვთ, რომ პარლამენტი განიხილავს. ელოდებით, რომ პარლამენტი განიხილავს და გაითვალისწინებს თქვენს მოთხოვნებს?***

— რა თქმა უნდა, ვეტერანთა მდგომარეობა მძიმეა. მისი გამოსწორება აუცილებლობას წარმოადგენს. მათ უნდა მიეცეთ უფრო მეტი სოციალური შეღავათები, ვიდრე რეალურად აქვთ. ამასთანავე, სამართლებრივი უფლებები და სოციალური გარანტიები უნდა გაიზარდოს. ვეტერანებმა იბრძოლეს თავიანთი ქვეყნის ინტერესების დასაცავად. ისინი საზოგადოების პატივისცემას იმსახურებენ. ვეტერანთა ფედერაციამ, სადაც გახლავართ თავმჯდომარის მოადგილე იურიდიულ საკითხებში, შევიმუშავეთ კანონპროექტი სრულიად ახალი ხედვით, სადაც ჩადებულია ის სოციალური და სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც წარმოადგენს აუცილებლობას ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფისა და საზოგადოებაში მათი ადაპტირებისათვის.

ამ საკითხთან დაკავშირებით შევხვდით პარლამენტის წარმომადგენლებს და წარვუდგინეთ კანონპროექტი. იმედი გვაქვს, რომ პარლამენტი მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას. თუმცა, არც ის გაგვიკვირდება, რომ ამ კანონპროექტის იგნორირება მოახდინონ, რადგანაც პარლამენტმა მიიღო ისეთი კანონები, რომლებმაც ჩვენი საზოგადოება შოკში ჩააგდო, მაგალითად, „პოლიციის მიერ გონივრული ეჭვის საფუძველზე ჩხრეკის უფლება“ და ასევე საჯარო იურიდიულ პირად რელიგიური გაერთიანებების დარეგისტრირება. მიიღებენ თუ არა ახალ პროექტს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

# ონიშჩენკო ქართული ღვინის მისაღებად მზად არის

ქეთი ხომერიკი

**„თავისუფალი საქართველოს“ კახეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი მოსიაშვილი მოუწოდებს ხელისუფლებას, რომ თუკი ხელს არ შეუწყობს ქართული ღვინის ექსპორტს მოსკოვში, მინიმუმ ხელი მაინც არ შეუშალოს.**



— როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, გასულ წელს ყურძნის არცთუ სახარბიელო მოსავალი გვქონდა, მთლიანობაში გასულ წელს კახეთში დაიკრიფა 80 ათას ტონაზე ოდნავ მეტი, რამაც გამოიწვია ყურძნის ფასის მატება, თავიდან რქაწითელის ფასი შეადგენდა 30 თეთრს, ხოლო საფერავის ჯიშის ყურძენი — 40 თეთრს, შესაბამისად, სახელმწიფო სუბსიდიის სახით თეთრ ყურძენზე 15 თეთრს და შავ ყურძენზე 25 თეთრს უმატებდა, რაც საბოლოო ჯამში გლეხს 1 კგ რქაწითელში გამოსდიოდა 45 თეთრი და საფერავი 65 თეთრი. სამწუხაროდ, წელს მოსალოდნელია ფასების კიდევ უფრო დაბლა დაწევა, რადგან წელს სავარაუდოდ, 130 ათას ტონა ყურძენზე მეტი მოსავლის მოსვლაა ნავარაუდევი, რაც შარშანდელ მონაცემებს 60-70 პროცენტით აღემატება, ეს კი ფასებზე აუცილებლად მოახდენს გავლენას. გინდაც ხელისუფლებამ შეძლოს ფასების დარეგულირება შარშანდელ ფასებთან, ეგეც არ იქნება საკმარისი, რადგან გასულ წელთან შედარებით გაძვირდა, როგორც შხამქიმიკატები, ასევე საწვავი, რაც პირდაპირ კავშირშია ყურძნის თვითღირებულებასთან, — განაცხადა მოსიაშვილმა.

მოსიაშვილს საზოგადოებისთვის უფრო ნათელი რომ იყოს, მოჰყავს ერთი მაგალითი.

— თუკი ათი წლის წინ, 2000-2001 წელს საფერავის ფასი 1 კგ-ზე გახლდათ ორი ლარი და ზემოთ, ახლა ერთ ლარს არ სცდება, ეს მაშინ, როცა საწვავი და შხამ-ქიმიკატები 300-400 პროცენტითაა გაზრდილი. ხელისუფლება ჯიუტად აცხადებს, რომ რუსული ბაზრის დაკარგვამ ახალი სტიმული მისცა ღვინის კომპანიებს ბაზრის ძიებისა და ღვინის ექსპორტი იზრდება, რაც სრული სიცრუეა და ამას ყურძნის ფასების ვარდნაც ადასტურებს, — განმარტა მოსიაშვილმა.

მისივე მტკიცებით, კახეთის ნებისმიერ ღვინის ქარხანაში რომ შეხვიდეთ, იქ ნახავთ გასული წლების ღვინის დიდ მარაგს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ღვინო აღარ იყიდება იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც იყიდებოდა წლების წინ.

— ხელისუფლება რთველთან მიმართებაში □გადაგორების□პოლიტიკის გზას ადგას, კრეფიდან ერთი თვით ადრე იწყებს თანხების მობილიზებას სუბსიდიისათვის, რაც არაა საკმარისი, საჭიროა და აუცილებელიც რუსულ ბაზარზე დაბრუნება. ამის წინაპირობა უკვე არსებობს. როგორც მოგეხსენებათ, „თავისუფალი საქართველო“-ს თავმჯდომარე კახა კუკავა უკვე ორჯერ შეხვდა რუსეთის მთავარ სანიტარს, ბ-ნ ონიშენკოს, სადაც გადაწყდა რუსეთის მზადყოფნა ქართული პროდუქციის მათ ბაზარზე დასაბრუნებლად, რაც ვფიქრობ და ვთვლი, რომ არის წინ გადადგმული ნაბიჯი, — აღნიშნა მოსიაშვილმა.

თავისუფალი საქართველოს წარმომადგენლის მტკიცებით, ამის შემდეგ კახელ გლეხობას იმედი გაუჩნდა, რომ ყურძნის ფასი დაეწევა გასული წლების ფასებს.

— ამ მოლაპარაკების საბოლოო წარმატებისთვის კი საჭიროა ხელისუფლებიდან ის, რომ თუკი ხელს არ შეუწყობს ქართული ღვინის ექსპორტს, მინიმუმ არ შეუშალოს მაინც, — განაცხადა მოსიაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

„ახალმა თაობამ“ „თავისუფალი საქართველო“-ს წარმოამდგენელს რამდენიმე კითხვით მიმართა.

***— დაგვიკონკრეტეთ, რას ამბობს კახელი გლეხობა და რა იმედები ჩაესახათ, ბატონო გიორგი?***

— კახეთის ნებისმიერ სოფელში, ნებისმიერ ოჯახში რომ შეხვიდეთ, სადაც კი ვაზი მოჰყავთ, ყურძენს წურავენ და ამ ყურძენს აბარებენ ღვინის ქარხნებს, ნებისმიერი ოჯახი იტყვის, რომ რუსეთის ბაზარი აუცილებელია საქართველოსთვის. რადგან ჩვენ დავინახეთ იგივე ჩინეთის მაგალითი. იქ წელიწადში იმდენი ქართული ღვინოც ვერ იყიდება, რასაც მოსკოვში მდებარე ერთი რესტორანი ყიდიდა.

***— თქვენ აღნიშნეთ, რომ რუსეთთან მოლაპარაკების საბოლოო წარმატებისთვის საჭიროა ხელისუფლებამ ქართული ღვინის ექსპორტს არ შეუშალოს ხელი, უშლის?***

— რუსული მხარე მზადყოფნას გამოთქვამს, რომ ინდივიდუალურად ღვინის კომპანიებთან სანიტარული შემოწმების შედეგად მიიღოს ქართული პროდუქცია, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება უშლის ხელს ამ ყველაფერს.

***— მაინც რა ფორმით უშლის ჩვენი ხელისუფლება ამას ხელს, დააკონკრეტეთ?***

— „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა იყო ჩასული რუსეთში, სადაც ონიშენკოს ორჯერ შეხვდა. მან თქვა, რომ ნებისმიერ კომპანიას შეუძლია მიაკითხოს რუსეთის სანიტარიულ სამსახურს, მოხდეს ღვინის შემოწმება და შემდეგ ჩატანა.

# ნიკა ჩიტაძე: საქართველოს საკმაოდ საინტერესო პოლიტიკური შემოდგომა ელის

პოლიტოლოგ ნიკა ჩიტაძის შეფასებით, საქართველოს საკმაოდ საინტერესო პოლიტიკური შემოდგომა ელის.

„მედიანიუსთან“ საუბარში ექსპერტი ოქტომბრის თვემდე ექვსი ოპოზიციური პარტიის კიდევ ერთ გააქტიურებას პროგნოზირებს და არ გამორიცხავს, რომ „ექვსიანის“ ყოფილმა პარტნიორებმა „ახალმა მემრაჯვენეებმა“ და ქრისტიან-დემოკრატებმა ერთიანი საარჩევნო ბლოკი ჩამოაყალიბონ.




— ოპოზიცია შემოდგომისათვის ემზადება, ზაფხულის პერიოდში მათი შედარებით ნაკლები აქტიურობა სწორედ ამით აიხსნება. ჩემი აზრით, ე.წ. „ექვსიანი“ ოპოზიციურ ასპარეზზე მმართველ ძალად მოგვევლინება. საარჩევენო საკითხებთან დაკავშირებით „ექსვიანი“ ოქტომბრამდე კიდევ ერთხელ გააქტიურდება, რადგან საარჩევნო კანონში ცვლილება სწორედ ოქტომბერში უნდა შევიდეს. ამ ეტაპზე „ექვსიანი“ ცდილობს ე.წ. რადიკალური ოპოზიციის ნიშა დაიკავოს, რადგან „სახალხო კრების“ და „ქართული პარტიის“ გეგმები ჩაფლავდა და აქედან გამომდინარე, რადიკალურ ოპოზიციის ნიშას სავარაუდოდ, სწორედ „ექვსიანი“ აიღებს, რაც პოლიტიკური პროცესებისათვის დადებითი მოვლენა იქნება, რადგან თვითონ რადიკალური ცუდს არ ნიშნავს. „ექვსიანი“ ჯერჯერობით მხოლოდ კოალიციაა, რაც არ ნიშნავს ალიანსს, ეს უკანასკნელი კი უფრო მყარი გაერთიანებაა. რამდენად შეინარჩუნებს კოალიცია სიმყარეს, ძნელი სათქმელია. ჩემი აზრით, თუ ისინი საპარლამენტო არჩევნებში 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვას მოახერხებენ, არჩევნების შემდგომ ეს კოალიცია, იქიდან გამომდინარე, რომ მასში სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პარტიები შედიან, დაიშლება. დაახლოებით ისე, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს შექმნილი ანტიჰიტლერული კოალიცია დაიშალა. ალიანსი უფრო მყარი გაერთიანებაა, მაგალითად: ნატო - თუ საერთაშორისო პოლიტიკის მაგალითებს მოვიშველიებთ. მე ვფიქრობ, რომ თუ „ექვსიანის“ შიგნით პოლიტიკური ალიანსი შეიქმნება, ეს ძალიან მისასალმებელი ფაქტი იქნება, ასევე, ძალიან კარგი იქნება თუ ამ ალიანსში შევლენ დასავლური ორიენტაციის მქონე ძალები: რესპუბლიკელები, „თავისუფალი-დემოკრატები“ და „საქართველოს გზა“, — განაცხადა ექსპერტმა და დასძინა, რომ „ექვსიანის“ სამ დარჩენილ პარტიას: „ეროვნულ ფორუმს“, „ხალხის პარტიასა“ და კონსერვატორებს მცირე პოლიტიკური ლაქები მაინც აცხიათ.

— „ეროვნულ ფორუმს“ ის რომ ბურჯანაძის გვერდით იდგა გასული წლის ნოემბრის აქციებზე, ხოლო „ეროვნულ საბჭოს“ ის, რომ ნოღაიდელთან თანამშრომლობდა 2010 წლის ადგილობრივი არჩევნებისას, - აღნიშნა ჩიტაძემ.

მისი შეფასებით, „უდავოდ მისასალმებელია“ ის გარემოება, რომ ამჟამად ე.წ. რადიკალური ოპოზიციის ლიდერად პროდასავლური მიმართულების პოლიტიკოსი ირაკლი ალასანია გვევლინება:

— რადგან გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ რადიკალური ოპოზიციის ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე იყო, — აღნიშნა პოლიტოლოგმა და დასძინა, რომ, მისი აზრით, ამ ფორმაციის „ექვსეულმა“ ლევან გაჩეჩილაძეს და ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერებიც გადაიბარა.

„ექვსიანმა“ იმით, რომ ხელისუფლების წინადადებებზე უარი თქვა, ამომრჩევლის ე.წ. რადიკალური ნაწილში პოპულარობა მოიპოვა“, - განაცხადა ჩიტაძემ.

მომდევნო საპარლამენტო არჩევნებისათვის ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ ქრისტიან-დემოკრატები და „ახალი მემარჯვენეები“ ერთ საარჩევნო ბლოკად ჩამოყალიბდნენ, რადგან ამ ძალებს მემარჯვენე პოლიტიკური მიმართულება აერთიანებთ.

ჩიტაძის აზრით, არჩევნებში დამოუკიდებელ სუბიექტად წარსდეგებიან ლეიბორისტები, ხოლო „ქართულ პარტიასა“ და ნინო ბურჯანაძის მოძრაობას არჩევნებამდე საზოგადოების თვალში რეაბილიტირება ძალიან გაუჭირდებათ.

— ჩემი აზრით, გამორიცხული არ არის რომ ეს პარტიები წევრებმაც დატოვონ. ამის მაგლითია თუნდაც ის, რომ „ქართული პარტია“ ორმა ლიდერმა უკვე დატოვა, — განაცხადა ექსპერტმა და დასძინა, რომ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით პოლიტიკის თვალსაზრისით საქართველოს საკმაოდ საინტერესო შემოდგომა ელის.

**მედიანიუსი**

# „იავნანამ“ შვიდშვილიანი ოჯახი დაასაჩუქრა

ეკა ირემაშვილი

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „იავნანამ“, რომლის ხელმძღვანელი და დამაარსებელიც მსოფლიოში სახელგანთქმული საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძეა, კახეთის რეგიონში მცხოვრები შვიდშვილიანი ოჯახი სახლის გასაღებით დაასაჩუქრა.

ფონდმა „იავნანამ“ სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში დეკანოზ დავით ბუტულაშვილს სახლი უყიდა. მრავალშვილიან ოჯახს სახლის გასაღები პაატა ბურჭულაძემ და კომპანია „ვისოლის“ დირექტორმა პირადად გადასცეს.

დეკანოზი დავითი სიღნაღის რაიონის სოფლებში ვაქირსა და ანაგაში მსახურობს და წირვა-ლოცვას ვაქირის იოანე ნათლისმცემლის ტაძარში აღავლენს. ფონდ „იავნანას“ დეკანოზისთვის საცხოვრებელი სახლის შეძენის თხოვნით სწორედ ამ ორი სოფლის მოსახლეობამ მიმართა.

„ერთად გადავარჩინოთ მომავალი“ — მსოფლიოში აღიარებულმა საოპერო მომღერალმა პაატა ბურჭულაძემ 2004 წელს ასეთი მოწოდებით დააარსა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“. დაარსების პირველივე დღიდან „იავნანა“ ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის საიმედო თავშესაფარი გახდა. ფონდის ეგიდით არაერთი საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გაიმართა როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. პაატა ბურჭულაძის წინადადებას საქველმოქმედო გალა-კონცერტში მონაწილეობის შესახებ მსოფლიო საოპერო ვარსკვლავები პირველი შეთავაზებისთანავე თანხმდებიან. მიღებული შემოსავალი სრულად ხმარდება მზრუნველობამოკლებულ პატარებს.

2006 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ პაატა ბურჭულაძეს ქველმოქმედებისთვის გაეროს კეთილი ნების ელჩის წოდება მიანიჭა, გასული წლის დეკემბერში კი მას გაეროს ბავშვთა ფონდის კეთილი ნების ელჩის წოდება მიენიჭა.



ფონდ „იავნანას“ მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ 7 წლის წინ საქართველოს ბავშვთა სახლებში 5200 ბავშვი ირიცხებოდა, სრულიად ობოლი მათგან მხოლოდ 156 იყო. მშობლებს უკიდურესი გაჭირვება აიძულებდა, შვილების ბედი ინსტიტუციისთვის მიენდოთ. ფონდ „იავნანას“ ძირითადი საქველმოქმედო პროგრამა სწორედ ბავშვთა სახლებიდან დედებისთვის შვილების დაბრუნებასა და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საკუთარი სახლების შეძენას დაუკავშირდა.

ფონდმა „იავნანამ“ ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვების დასახმარებლად უცხოეთსა და საქართველოში 49 საქველმოქმედო საღამო გამართა, ბინა შეუძინა სოციალურად დაუცველ 63 მრავალშვილიან ოჯახს, შედეგად 800-ზე მეტი ბავშვი დაუბრუნა საკუთარ მშობლებს.

„იავნანამ“ 113 სოციალურად დაუცველ წარჩინებულ სტუდენტს დაუფინანსა სწავლის გადასახადი. საბერძნეთსა და ბრატისლავაში დასასვენებლად და სამკურნალოდ გაიგზავნა 200-ზე მეტი ბავშვი. უცხოეთში მოგზაურობას თავად ბავშვებმა „ოცნებასთან შეხვედრა“ დაარქვეს.

2008 წლის სექტემბრიდან ფონდმა „იავნანამ“ ყოველთვიური დახმარება დაუნიშნა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაობლებულ 130 ბავშვს, უდედმამოდ დარჩენილი 7 წლის დიტო რაზმაძე კი ფონდის შვილობილი გახდა. მას უკვე აქვს საკუთარი ბინა ქალაქ გორში და მისი ცხოვრება ფონდის მიერ მთლიანად უზრუნველყოფილია. დიტო რაზმაძე „იავნანას“ შვილობილია.

ფონდ „იავნანას“ ჰყავს თავისი სამეგობროები, რომელთა მთავარი ამოცანა ოჯახების გამთლიანებაა. აქციაში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. სამეგობროში 10-15 კაცი იკრიბება. სამეგობროს ყოველმა წევრმა იცის, რომელ ოჯახს გადაეცემა მისი დახმარება. 2006-2011 წლებში „იავნანას“ 64 სამეგობროა შექმნილი. მათი მზრუნველობის ქვეშ 317 ბავშვი იმყოფება.

პაატა ბურჭულაძისა და ფონდის მოწვევით „იავნანას“ საქველმოქმედო კონცერტებში მონაწილეობდნენ მსოფლიო ლეგენდა მონსერატ კაბალიე, ფერუჩო ფურლანეტო, მიშელ კრაიდერი, რენატო ბრუზონი, დოლორა ზაჯიკი, რამონ ვარგასი, ამბროჯიო მაესტრი, ლუჩიანა დინტინო, მარკო ბერტი, პიერო ჯულიაჩი, მარჩელო ალვარესი, დიმიტრი ხვოროსტოვსკი. ფონდისთვის სოლიდური შემოწირულობა გაიღო მსოფლიოს უდიდესმა ტენორმა პლასიდო დომინგომ. ფონდ „იავნანას“ აქციაში მონაწილეობა მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან არის შესაძლებელი.

როგორც ფონდ „იავნანაში“ „ახალ თაობას“ განუცხადეს, ბუტულაშვილებს შვიდშვილიან ოჯახს საკუთარი სახლი არ ჰქონდა, რის გამოც მათი 2 წლის ბავშვი ოჯახთან ერთად ვერ ცხოვრობდა. დეკანოზ დავით ბუტულაშვილის 7-შვილიანი ოჯახი 63-ეა იმ სოციალურად დაუცველ ოჯახებს შორის, რომელთაც პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდი სახლს ჩუქნის. როგორც „იავნანაში“ აცხადებენ, მათ მიერ დაგეგმილი ქველმოქმედება მომავალშიც გაგრძელდება და გაჭირვების გამო მშობლებს მოშორებული ყველა პატარა თავის ოჯახს დაუბრუნდება.

# ბათუმში თეატრალური და ელექტრონული მუსიკის ფესტივალები ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

მთელი ზაფხულის განმავლობაში ბათუმში კულტურული ცხოვრება დუღს და სეზონის ბოლომდე პიკსაც მიაღწევს. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ავრცელებს ინფორმაციას, რომ 16-18 აგვისტოს ბათუმში ელექტრონული მუსიკის ფესტივალი „ბათუმი ქოლინგ“ ჩატარდება.

სამდღიანი ფესტივალის ჩატარება ბათუმში, ნინოშვილის ქუჩაზე არსებულ პლაჟის ფეხბურთის მოედანზეა დაგეგმილი. ფესტივალის ორგანიზატორი პანდორა ევენთსია. ფესტივალის პირველ და მეორე დღეს კომპანია „ჯეოსელი“ სტუმრებს სპეციალურ საჩუქარს შესთავაზებს — იმუშავებს კომპანია „ჯეოსელის“ რუმ აქცია. ამ აქციაში ჩართვისას 1 ბილეთის შეძენის შემთხვევაში საჩუქრად მეორე ბილეთი გაიცემა. ფესტივალზე დასწრების მსურველებს სპეციალური სამაჯურების შეძენაც მოუწევთ, რომლებიც ადგილზევე გაიყიდება.

16 აგვისტოდან ბათუმი თეატრალური ფესტივალის ფერხულში ჩაებმება. ბათუმის სხვადასხვა უბანში, სკვერებსა და პარკებში გაიმართება თეატრალური ფესტივალი. ღია ცის ქვეშ დამონტაჟებულ მოძრავ სცენებზე ყოველდღიურად გაცოცხლდება თეატრალური პერსონაჟები, რაც ზღვისპირა ქალაქს კიდევ უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს გახდის. ფესტივალი 16 აგვისტოს ბათუმის ბულვარში თეატრალური მსვლელობით დაიწყება და საღამოს იტალიური კომედია „ოთხი ტანგო და სასეირო ოინით“ გაგრძელდება.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, წარმოდგენისათვის შერჩეულია ძველი ბათუმის მიმდებარე ტერიტორია. სპექტაკლები ჩატარდება ყოველდღიურად სექტემბრის დასაწყისამდე. დაგეგმილი თეატრალური დადგმები ინარჩუნებს ყველა იმ ნორმას, რომლებიც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში გამოიყენებოდა. ეს არის სანთლებით განათებული სცენა, კოსტიუმები, მხატვრობა, დეკორაციები. პროექტი ხორციელდება ორგანიზაცია „არტ-ლაბორატორიისა“ და ბათუმის მერიის დაფინანსებით.

ბათუმის პიაცასთან შედგება გოლდონისეული პრემიერა იტალიური ტრადიციით. მისი ორგანიზატორი „ზაფხულის ღია ახალგაზრდული თეატრია“, რომელიც ტურისტებისა და ადგილობრივი მაყურებლისთვის სასიამოვნო სიურპრიზს ამზადებს.

ღია ცის ქვეშ, ცოცხალი მუსიკალური აკომპანიმენტით (ვიოლინო, ჩელო, ფლეიტა) წარმოდგენილი იქნება იტალიელი კომედიოგრაფის კარლო გოლდონის „სასეირო ოინი“. დამდგმელი ჯგუფი ორივე სპექტაკლის წარმოდგენისას იცავს კომედია დე ლ არტეს ფორმას. სპექტაკლებამდე ბათუმის ქუჩებში მთელი დღე მოეწყობა თეატრალური მსვლელობა. სპექტაკლის რეჟისორია ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობი, დრამატურგთა კონკურსში ორგზის გამარჯვებული ოთარ ქათამაძე, მხატვარი — ალეკო შელია, ქორეოგრაფი — ამირან მახარაძე. მუსიკას ცოცხლად ასრულებენ ქეთევან პაპავა და სალომე სურმანიძე.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ჯეოსტარელებმა ანაკლიაში იმღერეს

ეკა ირემაშვილი

ჯეოსტარის მონაწილეებმა, გამარჯვებულებმა და კონკურსანტებმა ანაკლიის პატრიოტთა ბანაკში დამსვენებლებთან ერთად ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე აღნიშნეს. ღონისძიების ორგანიზატორი და ინიციატორი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო იყო.

12 აგვისტო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეა. იგი გაერო-ს მიერ 1999 წელს მიღებული ერთ-ერთი რეზოლუციით არის აღიარებული. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა საკმაოდ პოპულარულია ევროპისა და ამერიკის კონტინენტის მრავალ ქვეყანაში. საქართველოში ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ასეთი გრანდიოზული მასშტაბით პირველად ჩატარდა.

ანაკლიის პატრიოტთა ბანაკში დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში საზოგადოებისთვის ნაცნობმა მომღერლებმა კონცერტი გამართეს. თითოეულმა მათგანმა თავისი რეპერტუარიდან ფართო საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სიმღერა შეარჩია. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა თეატრალიზებული წარმოდგენაც. აქცია-კონცერტი ახალგაზრდების უფლებების პოპულარიზაციასა და მსოფლიოს ახალგაზრდებს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებას ისახავდა მიზნად.

ღონისძიებას ბანაკ „პატრიოტის“ 300-ზე მეტი ქართველი და უცხოელი მონაწილე დაესწრო. ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების წინაშე ქართული ესტრადის მომღერლები წარდგნენ. შესრულებული იყო როგორც ქართული, ასევე უცხოური ჰიტები. ანაკლიის საერთაშორისო პატრიოტულ ბანაკში 300-მდე ახალგაზრდა ისვენებს. მათ შორის 150-მდე საქართველოში ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდა.

ანაკლიაში გასამართი ღონისძიების ორგანიზატორობა არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ინიციატორთა კლუბმა“ ითავა, ღონისძიება კი „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა. „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებაა.

# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

● იყიდება 1-ოთახიანი ბინა, ხრუშჩოვკა. ურემონტო, 4-სართულიანის მე-2 სართულზე, ქ.ფოთი, რკინიგზის სადგურის წინ. ტელ.: 593-68-41-59; 790-56-19-20.

● სასტუმროს ბიზნესით დაინტერესებულებს გთავაზობთ საქმიან წინადადებას ერთობლივი საქმიანობისთვის. ტელ.: 599-90-63-40.

## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 2-4 სმ, 25 წლამდე, მცენარეული მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით პლუს ვარჯიშებით, ზრდის ზონების გააქტიურება, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვა, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. მკურნალობა გარანტიით. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი, ქ-ნი სალომე.

# ბასკის სადებიუტო გოლი და ფოთელთა იმერული სენსაცია



### დინამო — ვიტ ჯორჯია 2:0

**თბილისი. ეროვნული სტადიონი. 1.999 მაყურებელი**

*1:0 კაკუბავა (58), 2:0 ალვარო (90)*

**დინამო:** ლორია, ოდიკაძე, თომაშვილი, კაკუბავა, გ.რეხვიაშვილი, ფირცხალავა (ლექვთაძე 76), კოშკაძე, ალვარო, ჩისკო (ბერაია 85), კოტო (კახელიშვილი 58), იაგუე.

**ვიტ ჯორჯია:** ძაძამია, ვასაძე (სიხარულიძე 69), გ.გურეშიძე, ჯანელიძე, ღანიაშვილი, ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, კორიფაძე (ხუჭუა 80), ჯულელი (ვაშაკიძე 56), ჩიმაკაძე.

„დინამოს უპირატესობა თვალშისაცემი იყო და ორი ტაიმის განმავლობაში, ზურაბ ბერიძის შეგირდები მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. ალექს გარსიას გუნდის გამარჯვება კი დამსახურებული იყო. მასპინძლებს მეტი გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ მხოლოდ ორს დაყაბულდნენ. აქედან ერთი ესპანელი ახალწვეულის, ალვაროს ანგარიშზეა, რომელმაც დებიუტი გოლით აღნიშნა. ბასკი ფეხბურთელი „დინამოში" მყოფ თანამემამულეების მსგავსად ტექნიკურია და საჯარიმო დარტყმაც უზადოდ შეასრულა. მატჩის შემდეგ, დინამოელთა მწვრთნელი ესპანელი ნახევარმცველის გარჯით კმაყოფილი დარჩა და გატანილი გოლიც შეუქო.

„დინამომ" თავიდანვე შეუტია მეტოქეს და ანგარიში კინაღამ დებიუტშივე გაიხსნა. უკვე მე-3 წუთზე, მარჯვენა ფლანგზე ჩისკოს წამოწყებული კომბინაცია დავით ოდიკაძემ გააგრძელა, რომელმაც „ვეტერინართა" საჯარიმოში გახსნილი ალვარო მონახა, მანაც თავის მხრივ, კარის წინ მყოფმა ალექსანდრე კოშკაძემ ჩაუწოდა, რომლის თავურიც ახლო მანძილიდან მიზანს ასცდა.

მალევე, იმავე ფლანგიდან, ოდიკაძის პასის მერე, ხელსაყრელი პოზიციიდან კოშკაძის დარტყმული ბურთი „ვიტ ჯორჯიას" მცველი გადაეფარა. მე-17 წუთზე, ჩისკომ სტუმართა საჯარიმოში ალვარო მონახა, რომელიც უფრო ქართულად გაისარჯა — ზედმეტი მონდომა და მომენტი გაანიავა. 32-ე წუთზე, გიორგი რეხვიაშვილი მარცხენა ფლანგზე ერთ მეტოქეს გაცდა და ბურთი „ვიტ ჯორჯიას" საჯარიმოში ჩისკოს გადააწოდა, რომლის დარტყმული გიორგი ძაძამიამ მოიგერია. მალევე, ჩისკო პასს „ვიტ ჯორჯიას" კარის სიახლოვეს მყოფ იაგუეს მიმართულებით აკეთებდა და ლაშა კასრაძემ ბურთი კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა. მე-40 წუთზე, რეხვიაშვილმა ასისტენტობა იაგუეს გაუწია, რომლის თავური უზუსტო აღმოჩნდა.

პირველი ტაიმის დამატებულ წუთზე კი მსაჯებს ლაფსუსი შეემთხვათ — ლორიამ პირით ხაზს იქით გადასული ბურთი თავისი საჯარიმოდან ფეხით შეიყვანა და ზუსტი პასი გაუკეთა ჩისკოს, რომელიც „დინამოს" კართან უმეთვალყურეოდ იყო დარჩენილი, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. საფეხბურთო წესებით, კარიდან შესრულებული თავისუფალი დარტყმის დრო თამაშგარე მდგომარეობა არ ფიქსირდება. „დინამოელებმა" მსაჯის გადაწყვეტილება გააპროტესტეს და მათ შორის ყველაზე აქტიურმა, ესპანელმა კოტომ კი ყვითელი ბარათი მიიღო. გამოდის, „დინამო" ორმაგად დაისაჯა.

მეორე ნახევარი „ვიტ ჯორჯიამ" უფრო აქტიურად დაიწყო და ჯანელიძეს „დინამოს" მეკარესთან პირისპირ გიორგი კორიფაძე გაყავდა, რომელსაც ლორიამ დაასწრო. თუმცა, ეს იყო და ეს — 58-ე წუთზე, კოშკაძემ კუთხური მოაწოდა და ლევან კაკუბავას თავურის შემდეგ, ძაძამიამ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ „დინამოს" ცენტრალურმა მცველმა მასაც დაასწრო და ვეტერინართა 3 მცველს და ანგარიში გაიხსნა. 67-ე წუთზე, კახელიშვილი შეტევის მარცხენა ფლანგზე გაცდა ერთ მეტოქეს და ბურთი კოშკაძეს კარგ პოზიციაში მიართვა, მაგრამ დინამოელთა კაპიტანმა მიცემული შანსი ვერ შეირგო.

ძირითადი დროისთვის დამატებულ მესამე წუთზე, ალვარომ „ცოცხალ კედელს" ბურთი კარგად გადაატარა და ძაძამიას დაუცველ კუთხეში გაუტანა — 2:0.

**მატჩის შემდეგ:**

**ზურაბ ბერიძე, ვიტ ჯორჯიას მთავარი მწვრთნელი:**

— პირველ ყოვლისა, ბატონ გარსიას ვულოცავ გამარჯვებას და წარმატებას ვუსურვებ. დარწმუნებული ვარ, ბატონი გარსია ძალიან სერიოზულ გუნდს ჩამოაყალიბებს. „ვიტ ჯორჯიამ" თავისი თამაში ვერ ითამაშა, მაგრამ არა უშავს, ახალგაზრდა ფეხბურთელები არიან და კიდევ მოუმატებენ. პირველ ტაიმში შევეცადეთ აგრესიული ფეხბურთი გვეთამაშა, რაც არ გამოგვივიდა. მეორე ტაიმში, თითქოს მდგომარეობა გამოვასწორეთ, მაგრამ ორი ბურთი მივიღეთ.

**ალექს გარსია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

— მადლობა მოლოცვისთვის. წინა ტურში ვუყურე „ვიტ ჯორჯიას" თამაშს — ძლიერი და შემტევი გუნდია. ყოველთვის სასიამოვნოა შემტევ გუნდთან თამაში. ჩვენთვის მნიშვნელოვანი და ძალიან ძნელი თამაში იყო. ამას, ხელი მოედნის ცუდმა ხარისხმაც შეუწყო. მსაჯობის შესახებ არც ჩვენ და არც ფეხბურთელები საკუთარ აზრს არ ვიტყვით. კარგი იქნება, თუ საკუთარი საქმის კეთებას მათ დავუთმობთ. „ვიტ ჯორჯიასთან" თამაშს, აეკ-თან შეხვედრის წინ გენერალურ რეპეტიციად ვერ განვიხილავ. ის მატჩი ძალიან განსხვავებული იქნება. იმედია, უფრო კარგი მოედანი იქნება.

### ზესტაფონი — კოლხეთი 1:1

**ზესტაფონი. დავით აბაშიძის სახელობის სტადიონი. 3.599 მაყურებელი**

*1:0 ძარია (31), 1:1 ქებაძე (52)*

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, თ.ღონღაძე, გ.ონიანი, კობახიძე, გორგიაშვილი, ძარია (ჭანკოტაძე 36), ბაბუნაშვილი (შ.გრიგალაშვილი 68), დაუშვილი, ს.ლომია, წინამძღვრიშვილი, ელიავა (ალადაშვილი 63)

**კოლხეთი:** ნადირაშვილი, ცხვიტარია, შავგულიძე, ინწკირველი, ლემონჯავა, ლომაშვილი, გვალია (გულუა 77), ციცხვაია (წიქარიშვილი 41), მდივნიშვილი, ჯანაშია, ცხადაია (ლ.ქებაძე, 46)

**გაძევება:** გოგონაია (76)

გუნდებს, წესით, ფოთში უნდა ეთამაშათ, მაგრამ ვინაიდან კოლხთა სტადიონი ჯერჯერობით მოწესრიგებას საჭიროებს, ამიტომაც, ეს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მატჩი ზესტაფონში ჩატარდა. პირველ ტურში კოლხებმა, ასევე სტუმრად, ქულა აართვეს რუსთავის „მეტალურგს", რაც სენსაციად მონათლეს, თუმცა სოსო ფილიას შეგირდებმა დაამტკიცეს, რომ ეს შემთხვევითი არ ყოფილა და ამჯერად ქულადამშვენებული იმერეთიდან წავიდნენ.

შეხვედრა დაბალ ტემპში დაიწყო. თუმცა, ფეროელთა პირველივე სერიოზული შეტევა გოლით უნდა დასრულებულიყო, მურთაზ დაუშვილის პასით რატი წინამძღვრიშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ლადო ნადირაშვილს ვერ აჯობა.

მე-18 წუთზე, ფოთელთა კარს ღონღაძე დაემუქრა, მაგრამ ისევ ნადირაშვილმა არ დაანება გატანა.

31-ე წუთზე ირაკლი ძარიას დარტყმულის წინაშე ფოთელთა მეკარე ვერაფერს გახდა. ძარიამ ბურთი საჯარიმოსთან ახლოს მიიღო, მას დარტყმის საშუალებაც მიეცა და ცაციათი დაჰკრა კიდეც — 1:0.

„ზესტაფონს" ტაიმის ბოლომდე ანგარიშის გაორება მართებდა, მაგრამ ნადირაშვილმა აკრობატულ ნახტომში წინამძღვრიშვილს ისეთი თავური აუღო, რომ აპლოდისმენტები მასპინძელი გულშემატკივრებისგანაც დაიმსახურა.

მეორე ნახევარში სტუმრები გააქტიურდნენ და სათამაშო ინიციატივაც მათ ხელში აღმოჩნდა. კოლხებმა ანგარიშის გათანაბრებაც მალევე მოახერხეს. 52-ე წუთზე ჩინებულად ითამაშა მანუჩარ წიქარიშვილმა, რომელმაც რამდენიმეჯერ შეძლო ცრუ მოძრაობით ონიანის გაცურება, საჯარიმოს კიდესთან მყოფმა, ბოლოს, პასი ლაშა ქებაძეს მიაწოდა, რომელმაც ძლიერად გაისროლა და ბურთი ზესტაფონელთა კარის მარჯვენა ზედა კუთხეში მოახვედრა — 1:1.

73-ე წუთზე შავგულიძეს ჰქონდა კოლხთა მხრიდან თავის გამოჩენის შანსი, როდესაც შორიდან საჯარიმო შეასრულა, მაგრამ ბურთი ზესტაფონელთა კარის ხარიხას მცირედით გადაცდა.

76-ე წუთზე ფოთელთა სათადარიგო გოგონაიას და ზესტაფონელ ქომაგებს შორის სიტყვიერი შეხლა-შემოხლა მოხდა. არბიტრმა სამართლიანად გააძევა სათადარიგოთა სკამიდან კოლხი ფეხბურთელი.

კოლხებს გამარჯვების გოლის გატანაც მართებდათ, როდესაც გვალიამ, ულამაზესი პასით გულუა დატოვა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ამ უკანასკნელმა იჩქარა და უხეიროდ დაარტყა.

**მატჩის შემდეგ:**

**სოსო ფილია, კოლხეთის მთავარი მწვრთნელი:**

— კარგი შედეგი ვაჩვენეთ, ფაქტობრივად, ოქროს ქულა მოვიპოვეთ დიდი ბრძოლის ხარჯზე, თანაც, იღბალმა ზურგი არ გვაქცია პირველ ტაიმში, თორემ ორბურთიანი ჩამორჩენა ძნელი აღმოსაფხვრელი იქნებოდა. მეორე ნახევარში ჩვენც გვქონდა შანსი და კინაღამ გამარჯვებაც მოვიპოვეთ. „ზესტაფონი" ახლა სხვა მატჩისათვის ემზადება და ევროსარბიელზე წარმატებებს ვუსურვებ.

**გია გეგუჩაძე, ზესტაფონის მთავარი მწვრთნელი:**

— ჩემთვის ეს შედეგი მოულოდნელი არ ყოფილა. რა თქმა უნდა, მოსაგებად გამოვედით, მაგრამ ბიჭები ცოტა გადაღლილები არიან. ერთიანობაში, ეს ლოგიკური შედეგი იყო.

სხვა მატჩები ასე დასრულდა:

**სიონი — გაგრა 1:3**

*0:1 კალანდაძე, 0:2, 0:2, 0:3 კვანტალიანი (45, 48), 1:3 ისიანი (70)*

**დილა — ტორპედო 0:1**

*0:1 ბოლქვაძე (72)*

**მერანი — სპარტაკი 2:0**

*1:0 მანწკავა (73), 2:0 მუნინი (86)*

**მეტალურგი — ბაია 2:0**

*1:0 მოდებაძე (13)/ 2:0 გეწაძე (32)*

# საქართველომ ანგარიში დაიჭირა

### ჰოლანდია 72:77 საქართველო

**11:18 18:17 1§:24 25:16**

**საქართველო:** გამყრელიძე (2ქ), ვ. ბოისა (4ქ), ფაჩულია (12 ქ, 6მ), შერმადინი (2ქ), მარკოიშვილი (19ქ), სანიკიძე (11ქ, 12მ), ცქიტიშვილი (13ქ), შენგელია (9ქ, 5მ), ჰეინსი (5ქ)

**ჰოლანდია:** სმულდერსი (15), გაძურიჩი (11), ვოომი (11), იანსენი (8), ვან კამპენი (8), სლაგტერი (5), ვან დერ ჰორსტი (5), გრეიგი (3), ვესელსი (2), როი (2), ტიუკენსი (2)

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა წარმატებით დაიწყო ჰოლანდიის ქალაქ ალმერის ოთხთა ტურნირი. იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილმა ჩვენმა ნაკრებმა ტურნირის პირველივე მატჩში მეტად უხერხული მეტოქე — ჰოლანდია დაამარცხა. მართალია, ბენილუქსელები ბ დივიზიონში არიან, თუმცა ეს გუნდი სულაც არ გახლავთ ხელწამოსაკრავი და 2 წლის წინ 2 ამხანაგური მატჩიც მოგვიგო. თანაც, ჰოლანდიელები შინაურ არენაზე თამაშობდნენ და თუ რამდენს ნიშნავს საკუთარ კედლებში თამაში, ეს ცოტა ხნის წინ ესტონეთშიც გამოჩნდა, როცა მასპინძლებმა მსაჯების დახმარებით მოგებული მატჩი შემოგვიტრიალეს.

საქართველომ ამჯერად მძლავრად ითამაშა. აკი აღნიშნა კიდეც მატჩის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა, ამ მოსამზადებელ ციკლში საუკეთესო მატჩი ვითამაშეთ. ქართველებმა პირველი მეოთხედი 19:11 მოიგეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის უპირატესობა ქულით შეუმცირდათ — 37:30. შესვენების შემდეგ კოკოშკოვის გაწვრთნილმა კალათბურთელებმა ყველაფერში დაჯაბნეს მეტოქე, ვიქტორ სანიკიძე და ზაზა ფაჩულია სამწამიან ზონაში კარგად ირჯებოდნენ, ხოლო მანუჩარ მარკოიშვილი და ნიკოლოზ ცქიტიშვილი შორი სროლებით აწუხებდნენ ჰოლანდიელებს. შედეგად, ბოლო მეოთხედის წინ საქართველოს ყველაზე დიდი უპირატესობა დაფიქსირდა — 61: 47.

ბოლო მეოთხედში მასპინძლები გამოფხიზლდნენ და მიჯრით ჩაგდებული სამქულიანების შემდეგად ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირეს. ბოლო წუთებმა დაძაბულად ჩაიარა, თუმცა საქართველოს ნაკრების კალათბურთელებმა გადამწყვეტ წუთებში სიმტკიცე გამოიჩინეს და საბოლოოდ ისე გაიმარჯვეს, მეტოქისთვის წარმატების შანსი არც მიუციათ.

შეხვედრის განაცხადში 12 კალათბურთელი იყო, საიდანაც სამს — შარაბიძეს, ფარღალავას და ფაცაციას არ უთამაშიათ. ანატოლი ბოისა და გიორგი ცინცაძე ჯანმრთელად არიან, უბრალოდ, მთავარმა მწვრთნელმა მათი ამ მატჩში დასვენება გადაწყვიტა.

**იგორ კოკოშკოვი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ბლექბერნი-ვულვზი | 1:2 |
| ქპრ-ბოლტონი | 0:4 |
| ლივერპული-სანდერლენდი | 1:1 |
| უიგანი-ნორვიჩი | 1:1 |
| ფულემი-ასტონ ვილა | 0:0 |
| ნიუკასლი-არსენალი | 0:0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-საუთჰემპტონი | 0:1 |
| ბირმინგემი-ქოვენთრი | 1:0 |
| დონკასტერი-ვესტ ჰემი | 0:1 |
| იფსვიჩი-ჰალი | 0:1 |
| კრ.პალასი-ბარნლი | 2:0 |
| ლესტერი-რედინგი | 0:2 |
| ლიდსი-მიდლსბრო | 0:1 |
| მილუოლი-ნოტინგემი | 2:0 |
| პორთსმუთი-ბრაიტონი | 0:1 |
| უოტფორდი-დერბი | 0:1 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-ბაიერნი | 0:1 |
| ჰამბურგი-ჰერტა | 2:2 |
| ნიურნბერგი-ჰანოვერი | 1:2 |
| ფრაიბურგი-მაინცი | 1:2 |
| ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი | 1:0 |
| შალკე-კიოლნი | 5:1 |
| გლადბახი-შტუტგარტი | 1:1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ალემანია-კოტბუსი | 0:2 |
| პადერბორნი-ფიურტი | 0:1 |

**საფრანგეთი. პირველი ლიგა**

| | |
|---|---|
| ლიონი-აიაჩო | 1:1 |
| ლორიენი-ბორდო | 1:1 |
| რენი-პსჟ | 1:1 |
| სენტ ეტიენი-ნანსი | 1:0 |
| სოშო-კაენი | 1:2 |
| ტულუზა-დიჟონი | 2:0 |
| ვალანსიენი-ბრესტი | 0:0 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

| | |
|---|---|
| ლანსი-ტრუა | 2:1 |

**ჰოლანდია. ეროვიზიონი**

| | |
|---|---|
| ტვენტე-ალკმაარი | 2:0 |
| ვიტესი-ვენლო | 4:0 |

*ვიტესის მეოთხე გოლი გიორგი ჭანტურიამ გაიტანა*

| | |
|---|---|
| პსვ-ვალვაიკი | 1:0 |
| ფეინოორდი-როდა | 3:0 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

| | |
|---|---|
| რიუ ავე-ბრაგა | 0:0 |
| სპორტინგი-ოლჰანენსე | 1:1 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ტომი-ნალჩიკი | 0:2 |

*ნალჩიკელთა მეორე გოლი დავით სირაძემ გაიტანა*

| | |
|---|---|
| დინამო-ტერეკი | 6:2 |
| რუბინი-ცსკა | 1:1 |
| როსტოვი-ყუბანი | 1:2 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ინვერნესი-რეინჯერსი | 0:2 |
| სელტიკი-დანდი | 5:1 |
| სტ.ჯონსონი-დანფერმლაინი | 0:1 |
| სტ.მირენი-მოზერველი | 0:1 |
| ჰარტსი-აბერდინი | 3:0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ადმირა-მატერსბურგი | 2:1 |
| აუსტრია-კაფენბერგი | 5:0 |
| ნოიშტადი-ინსბრუკი | 0:0 |
| შტურმი-რაპიდი | 1:0 |

**ბელგ. პროლიგა**

| | |
|---|---|
| გენტი-სტანდარდი | 3:1 |
| ბრიუგე-ევერლე | 1:0 |
| გენკი-ვარეგემი | 2:2 |
| ბეერსხოტი-ვესტერლო | 3:1 |
| კორტრაიკი-სერკლი | 2:0 |
| მონსი-სტ.ტრუიდენი | 4:2 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ბაზელი-ციურიხი | 1:2 |
| სიონი-ლუცერნი | 1:1 |

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

| | |
|---|---|
| ბანიკი-ბოლესლავი | 1:4 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| იაგელონია-კორონა | 1:1 |
| ბიტომი-ლოძი | 2:0 |
| ვისლა-ზაგლებიე | 1:0 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| არსენალი-დინამო | 0:2 |
| კარპატი-ზარია | 2:1 |
| დნიპრო-შახტარი | 1:3 |
| ობოლონი-მეტალისტი | 3:3 |

**დანია. სასლიგა**

| | |
|---|---|
| ოლბორგი-ოდენსე | 2:1 |
| კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 2:0 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| მილაბი-სირიანსკა | 3:0 |
| ჰალმშტადი-ჰაკენი | 0:1 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| სტაბეკი-სტრომგოდსეტი | 2:0 |

**ნორვეგია. თასი**

| | |
|---|---|
| სტარტი-ალტა | 1:0 |
| ალესუნდი-რუსენბორგი | 3:1 |

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სლიგო-ბოჰემიანსი | 1:2 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| სიეტლი-ჩივასი | 0:0 |
| ტორონტო-სოლტ ლეიკი | 1:0 |
| ვაშინგტონი-ვანკუვერი | 4:0 |
| კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი | 3:1 |
| ნიუ იორკი-ჩიკაგო | 2:2 |
| ფილადელფია-დალასი | 2:2 |
| სან ხოსე-კოლორადო | 1:2 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო(გ)-სანტოსი | 2:0 |
| კრუზეირო-ავაი | 5:0 |
| სან პაულუ-ატლეტიკო(პ) | 2:2 |
| ბოტაფოგო-ამერიკა | 4:2 |

**კალათბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| საბერძნეთი-ბოსნია | 87:62 |
| იტალია-პოლონეთი | 67:61 |
| უკრაინა-გერმანია | 81:67 |
| თურქეთი-სერბეთი | 58:83 |
| ლატვია-რუსეთი | 59:84 |
| ესპანეთი-ლიტვა | 90:78 |

**ფრენბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

**კაცები**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-ჩეხეთი | 3:1 |
| კანადა-თურქეთი | 3:0 |
| ლატვია-ესტონეთი | 3:1 |

**მსოფლიო გრან პრი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ყაზახეთი-ტაილანდი | 0:3 |
| გერმანია-პერუ | 3:0 |
| პოლონეთი-ს.კორეა | 0:3 |
| კუბა-არგენტინა | 2:3 |
| იაპონია-დომინიკების რესპ. | 3:1 |
| აშშ-სერბეთი | 1:3 |

**რაგბი**

**სამი ერის თასი**

| | |
|---|---|
| ავსტრალია-ს.აფრიკა | 14:9 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| უელსი-ინგლისი | 19:9 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. ვაშინგტონი. პარდი**

| | |
|---|---|
| ფიში-ტიფსარევიჩი | 6:3;6:4 |
| ჯოკოვიჩი-ცონგა | 6:4;6:0 |

**ვტა. ტორონტო. პარდი**

| | |
|---|---|
| რადვანსკა ა.-სტოსური | 2:6;7:5;2:6 |
| უილიამსი ს.-აზარენკო | 6:3;6:3 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ბათუმში თეატრალური და ელექტრონული მუსიკის ფესტივალები ჩატარდება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

სპექტაკლში სულ 15-მდე ახალგაზრდა მსახიობი მონაწილეობს. პროექტის მენეჯერია მიხეილ გაბაიძე.

პროექტის ფარგლებში ბათუმის ძველ და ახალ ბულვარში წარმოდგენილი იქნება კომედია დელ არტეს პრინციპებით (ქუჩის თეატრი) დადგმული სპექტაკლი „ოთხი ტანგო“. „არტ ლაბორატორიის“ მიზანია ახალი მსახიობების აღმოჩენა და მათი ნიჭის რეალიზებისთვის ხელშეწყობა.

ფესტივალის დაწყებამდე ქალაქში საინფორმაციო აქცია ჩატარდება, რომლის დროსაც მსახიობები თავად დაარიგებენ სარეკლამო ფლაერებსა და პროგრამებს. ფესტივალზე დასწრება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლება. ბათუმში ღონისძიებების მრავალფეროვნება პიკს აღწევს. ზაფხულის დასრულების შემდეგაც ე.წ. ხავერდოვან სეზონზე არაერთი მნიშვნელოვანი საღამო გაიმართება. სწორედ ხავერდოვან სეზონზეა გადატანილი სილამაზის კონკურსი „მის საქართველო“, რომელიც რჩეულს წელსაც დაასახელებს. მუსიკის მოყვარულ საზოგადოებას წინ ელოდება მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი გოლდენ ტალენტი 2011“, რომელიც 7-დან 10 სექტემბრის ჩათვლით შავი ზღვისპირეთში გაიმართება.

ბათუმში ახლად გახსნილი კინოთეატრი „აპოლო“ კინომოყვარულებს უახლეს ფილმებს სთავაზობს. კინოთეატრი რეაბილიტაციის შემდეგ გერმანელი რეჟისორის ვიმ ვენდერსის ფილმ „პინა ბაუშით“ გაიხსნა. სამგანზომილებიანი ფილმი გერმანელ ქორეოგრაფზე მაყურებელმა დიდი მოწონებით მიიღო. „პინა ბაუშის“ შემდეგ კი კინოთეატრ „აპოლოში“ ფილმის „აუტანელი ბოსების“ პრემიერა გაიმართა. ფილმი მსოფლიო ბაზარზე შეფასებუ-



ლია, როგორც წლის საუკეთესო კომედია, რომელშიც ბევრი ცნობილი მსახიობი მონაწილეობს.

საქართველოში ამ ფილმის ჩვენება პირველად სწორედ ბათუმის ახლად გახსნილ კინოთეატრში გაიმართა. ფილმზე დასასწრები ყველა ბილეთი უმალ გაიყიდა და მაყურებელი ნანახით კმაყოფილი დარჩა.

სულ მალე კინომოყვარულები პირველ ქართულ სამგანზომილებიან ფილმს ნახავენ. რეჟისორი გიგა აგლაძე უკვე მუშაობს ფილმზე, რომელიც მთლიანად საოჯახო თემას ეხება. ფილმში მთავარ როლს 16 წლის ანუკა ჯორბენაძე თამაშობს. ფილმის გადაღებები მთელი საქართველოს მასშტაბით არის დაგეგმილი, პრემიერა კი, შემოქმედებითი ჯგუფის გადაწყვეტილებით, წლის ბოლოს გაიმართება.

# „სანო სტუდია“: დაიცავით საავტორო უფლებები!

ეკა ირემაშვილი

მას შემდეგ, რაც საქართველოს ავტორთა საზოგადოების სათავეში ახალგაზრდა იურისტი გიგა კობალაძე მოვიდა, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა — საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაციამ თითქმის ყველა იმ უწყებასთან თუ ორგანიზაციასთან გამართა შეხვედრა, რომელიც პირდაპირ კავშირშია საქართველოში საავტორო უფლებების დაცვის საკითხთან მიმართებით.

მართალია, კონკრეტული შედეგები ჯერ არ ჩანს, მაგრამ გიგა კობალაძე ირწმუნება, რომ მას ხელთ აქვს არაერთი ბერკეტი, რომელთა საშუალებითაც ყველას აიძულებს, ავტორებს კუთვნილი ანაზღაურება ნებისმიერმა რესტორანმა, ორგანიზაციამ, ტელევიზიამ თუ რადიომ ბოლო კაპიკამდე გადაუხადოს, განსაკუთრებით ურჩ გადამხდელებს კი სასამართლოთი ემუქრება და არწმუნებს, რომ გამარჯვება აუცილებლად საავტორო საზოგადოების მხარეს იქნება.

ამჯერად ავტორთა საზოგადოების პრეზიდენტმა გიგა კობალაძემ „სანო სტუდიას“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაუფორმა. ეს სალიცენზიო ხელშეკრულებაა, რომელიც „სანო სტუდიის“ მიერ გამოშვებული პროდუქციის საავტორო ლიცენზიით დაცვას გულისხმობს.

ამ მემორანდუმის მიხედვით, საავტორო უფლებათა ასოციაცია უზრუნველყოფს ჰონორარის განაწილებას სტუდიის მხრიდან გამოშვებულ ნებისმიერ პროდუქტზე, დადგენილი ტარიფით, რომელიც ავტორებს გადაეცემათ.

როგორც მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიაზე გახდა ცნობილი, ამ ინიციატივის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართულ ბაზარზე ლიცენზირებული პროდუქციის რეალიზაციას.

**გიგა კობალაძე, ავტორთა საზოგადოების ხელმძღვანელი:**

— მოხარული ვარ, რომ უკვე ხმის ჩამწერმა სტუდიებმაც კი გამოთქვეს ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი. საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ და „სანო სტუდიამ“ სალიცენზიო შეთანხმებას მოაწერეს ხელი. შეთანხმების თანახმად, ნებისმიერ პროდუქციაზე, რომელიც ჩაიწერება და გამოიცემა „სანო სტუდიის“ მიერ, დაწესდება საავტორო ჰონორარი. ჰონორარი ავტორთა საზოგადოების მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისი იქნება და პროდუქციის ავტორებს გადაუნაწილდებათ, ამ მემორანდუმის გაფორმების შემდეგ კი „სანო სტუდია“ და მისი დამფუძნებელი მერაბ სანოძე ასოციაციაში გაწევრიანდა, როგორც მომიჯნავე უფლების მფლობელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორთა საზოგადოება მის მომიჯნავე უფლებებს კანონის შესაბამისად დაიცავს. ეს მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ პროდუქცია, რომელსაც „სანო სტუდია“ გამოუშვებს, ლიცენზირებული იქნება, ხოლო მათი საავტორო უფლება — ყველანაირად დაცული. ბაზარზე ლიცენზირებული პროდუქცია შევა და იქ არსებულ არალეგალურ, ეგრეთ წოდებულ მეკობრულ პროდუქციას ჩაანაცვლებს. შეთანხმება, რომელსაც მხარეების მიერ ხელი მოეწერა, უკვე ძალაში შევიდა.

**მერაბ სანოძე, „სანო სტუდიის“ ხელმძღვანელი:**

— უკვე წლებია, საავტორო უფლებების დასაცავად ვიბრძვი. ე.წ. მეკობრეები ვერ ხვდებიან, რომ ეს იგივე ქურდობაა. არ ვიცი, შეიძლება, ძალიან კარგადაც ხვდებიან, მაგრამ ამით შემოსავალს შოულობენ და ჩვენი შრომა სულაც არ ედარდებათ. ჩვენ უკვე გავაფორმეთ ხელშეკრულება საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან, რომელმაც მოგვცა პირობა, რომ ჩვენ მიერ წარმოებული პროდუქციის საავტორო უფლებებს ყველანაირად დაიცავს. მიხარია, რომ ჩვენი შრომის საფასური ყველა იმ ადამიანს მიუვა ჰონორარის სახით, რომელიც ინტელექტუალურად შრომობს და ცდილობს, ქართულ კულტურასა და ხელოვნებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს.

## კროსვორდი



1. ქალიშვილი ინგლისურად; 2. სოკოს ქსელი; 3. ნიავი; 4. ფრანგი კომპოზიტორი; 5. დიონისეს მხლებელი; 6. თანხის წინასწარ გადახდილი ნაწილი; 7. მკვახე ყურძენი; 8. ... ზოლა; 9. ერთგვარი ჩაროზი; 10. სიმებიანი საკრავი; 11. ... ყველაიძე; 12. დიდი ზომის ქვეწარმავალი; 13. ქალბატონი ინგლისურად; 14. ... თმოგველი; 15. ჰომეროსის პოემა; 16. ბუნებრივი ვენტილაცია; 17. ქირურგის თანაშემწე ოპერაციის დროს; 18. ამერიკელ ინდიელთა ქოხი; 19. ღრუღეროიანი ტროპიკული მცენარე; 20. სიგრძის საზომი ერთეული; 21. ერთუჯრედიანი ცხოველი; 22. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 23. გადამდნარი კარაქი; 24. ... ნიუტონი; 25. სატურნის თანამგზავრი; 26. ძროხის ჯიქანი; 27. რომის პაპის გვირგვინი; 28. ლონდონის საქმიანი ცენტრი; 29. იტალიელი მათემატიკოსი; 30. ხოხბის ბარტყი; 31. რუსი მომღერალი; 32. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 33. ხორციანი კორკოტი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დულცინეა; 2. მახრა; 3. კვარიათი; 4. მახვში; 7. ოტიტი; 9. პროზა; 12. „კრაკოვიაკი“; 14. ციცარი; 15. ბულვარი; 17. კონფუცი; 20. აბული.

**თარაზულად:** 5. „მუკუზანი“; 6. ბავარია; 8. „სპრაიტი“; 10. ტიტიკაკა; 11. ჰედირი; 13. ბაიკერი; 16. ჯანელიძე; 18. ჰობოი; 19. ალალი; 21. „იბერია“; 22. „არსენალი“; 23. ქურციკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაჩანა; 2. ევრო; 3. დემაგოგია; 4. ბზიფი; 5. მაღრაძე; 8. ვეზუვი; 9. ბალისტიკა; 12. ბანერი; 14. „ფულემი“; 16. „ულისე“.

**თარაზულად:** 1. ბაბანეური; 6. გეოდეზია; 7. „ჩხავერი“; 9. ბორანი; 10. ლიმა; 11. „გურიელი“; 13. „დაფნე“; 15. მალიბუ; 17. კაპრალი; 18. გეიტსი; 19. პრემია; 20. ჟერარდი.

სპორტი

# საქართველომ ანგარიში დაიქირა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

— მოხარული ვარ იმით, რომ საქართველოს ნაკრებმა ამ მოსამზადებელ ეტაპზე საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ჰოლანდიელებთან მატჩში იყო რიგი ხარვეზები, რაც ევროპის ჩემპიონატამდე აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ. მთავარია, რომ სწორი გზით მივდივართ და ყოველი თამაშის მერე ვუმატებთ. ეს ტურნირი შეთამაშებისა და ხარვეზების გამოსასწორებლად საუკეთესო საშუალებაა. წინ არაერთი მატჩი გველის და უნდა ვეცადოთ, რომ თითოეული შეხვედრა მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

**ისრაელი 77:72 საქართველო**

**17:18 18:17 26:15 14:22**

**საქართველო:** გამყრელიძე,, მარკოიშვილი (10ქ), სანიკიძე (7ქ, 2 დაფარება), ვ. ბოისა (2ქ), ფაჩულია (13ქ, 6მ); ცინცაძე (12ქ), შერმადინი (8ქ, 11მ), შენგელია (10ქ), ცქიტიშვილი (3ქ), ჰაინსი (7ქ), ა. ბოისა, ფაცაცია.

**ისრაელი:** ბლუ (13), კადირი (13), პნინი (9), ჰალპერინი (9), ბურშტეინი (8), ელიაჰუ (8)

საქართველოს ნაკრებმა ზუსტად იმ ანგარიშით წააგო ისრაელთან, რამდენითაც წინა დღეს ჰოლანდიას მოუგო — 77:72. იგორ კოკოშკოვის გუნდმა ებრაელებთან ბოლომდე ღირსეულად იბრძოლა, თუმცა გამარჯვების მოპოვება ვერ შეძლო.

წინა მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად იგორ კოკოშკოვმა გიორგი ცინცაძე განაცხადში შეიყვანა და ეს უკანასკნელი მიუხედავად მცირე სათამაშო დროისა, ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ცინცაძემ 13 წუთში 12 ქულა მოაგროვა, რაც ქართველთაგან მეორე საუკეთესო შედეგია ზაზა ფაჩულიას (13 ქულა) შემდეგ.

ჰოლანდიასთან მოგების ერთ-ერთმა შემოქმედმა მანუჩარ მარკოიშვილმა ამჯერად 10 ქულას მოუყარა თავი. სწორედ მანუჩარი იმყოფებოდა ქართველთაგან ყველაზე დიდ ხანს მოედანზე — 27 წუთით. გიორგი შერმადინს მხოლოდ 15 წუთი ეყო 11 მოხსნის მოსაგროვებლად და მას ქულებიც საკმაოდ ჰქონდა — 8. თორნიკე შენგელიამ ისევ უწია ათქულიან თამასას, მან 17 წუთში ზუსტად 10 ქულა მოაგროვა. მარკიზ ჰაინსმა მხოლოდ 13 წუთი დაჰყო მოედანზე და 7 ქულა მიითვალა.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ებრაელებმა საწყისი მეოთხედიც და მეორეც თითო ქულით მოიგეს და დიდი შესვენებისთვის 37:35 დაწინაურდნენ. მესამე პერიოდში ისრაელმა გაილაღა და ათწუთეული მთელი 11 ქულით მოიგო — შესაბამისად, გადამწყვეტი მეოთხედის წინ სოლიდური ლიდერობა დაიბევა: 63:50.

ზოგადად, 13-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება იოლი საქმე არაა, თუმცა სავსებით შესაძლებელია. ქართველებმაც მოინდომეს და ცოტაც რომ გამართლებოდათ, გაიმარჯვებდნენ კიდეც. კოკოშკოვის დამოძღვრილმა გუნდმა ბოლო პერიოდი 22:14 მოიგო, თუმცა ეს საბოლოო წარმატების მისაღწევად საკმარისი არ აღმოჩნდა. საბოლოოდ — 72:77.

საქართველოს ნაკრებს ებრაელებთან რევანშის კარგი შანსი აქვს. ისრაელი ხვალ თბილისში ჩამოდის და დამდეგ სამშაბათს სპორტის სასახლეში კოკოშკოვის გუნდს ამხანაგურად გაეჯიბრება.

# კახა კალაძე: ბედმა გამიღიმა, საფეხბურთო კარიერა გენუაში რომ გავაგრძელე

დასაწყისი მე-12 გვერდზე

***ბევრი ერის წარმომადგენელია. ეს კოლექტივში უხერხულობას ხომ არ ქმნის?***

— არავითარ შემთხვევაში. გუნდში ბრწყინვალე ბიჭები არიან თავმოყრილნი, რომელიც ქალაქს, კლუბს და იტალიის ჩემპიონატს ადვილად გაუშინაურდნენ. უცხოელისთვის სწრაფი ადაპტაცია დიდწილად წარმატების მიღწევის გარანტიაა.

***— იტალიური სერია ა-ს ახალწვეულთა 40 პროცენტი უცხოელია. როგორ თვლით, რამდენად არასასურველია ეს „სკუადრა აძურასთვის“?***

— ალბათ, ასეა. საერთოდ, იტალიაში ახალგაზრდა ფეხბურთელებს ნაკლებად ენდობიან. გამოუცდელი მოთამაშე შეცდომას რომ უშვებს, ამაში არაფერია მოულოდნელი. ამ დროს მას გვერდით უნდა დაუდგე, მიუთითო და კლასის ამაღლებაში დაეხმარო. იტალიაში კი ამის გაკეთება არ უყვართ და კლუბებს მზამზარეული ფეხბურთელის აყვანა ურჩევნიათ. ახალგაზრდა მოთამაშეების გაზრდის თვალსაზრისით, ბოლო 10 წლის განმავლობაში აპენინის ნახევარკუნძულზე მდგომარეობა გაუარესდა.

***— გასულ სეზონში ჯან პიერო გასპერინისთან მუშაობდით, რომელიც ამჟამად მილანის „ინტერის“ მთავარი მწვრთნელია.***

— მასთან ერთად მხოლოდ 3 თვე ვიმუშავე, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ვიგრძენი, გასპერინი მაღალი დონის სპეციალისტი რომაა. მისი წვრთნები, ტაქტიკური განსწავლულობა და გუნდში დისციპლინის დამყარების უნარი პატივისცემას იმსახურებს.

***— თქვენ ფეხბურთელთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებით, რომლებიც პოსტსაფეხბურთო ცხოვრებაზე ჯერ კიდევ აქტიური სპორტული კარიერის დროს ზრუნავენ. ამასთან, იმ ადამიანების მომავალზე ზრუნვასაც არ ივიწყებთ, რომელთაც მატერიალურად უჭირთ.***

— ფიქრი იმაზე, თუ რა გზას გაყვები ფეხბურთელობის შემდეგ, ძალიან მნიშვნელოვანია. კარიერას დაახლოებით 35 წლის ასაკში ვასრულებთ და მომავალზე წინასწარ უნდა დაფიქრდე. შემდეგ კი, გარკვეული გეგმაც შეადგინო. ჩემი აზრით, ვალდებული ვარ, იმ ადამიანებს დახმარების ხელი გავუწოდო, რომლებიც თანადგომას საჭიროებენ. პროფესიონალ ფეხბურთელებს საამისო შესაძლებლობა გვაქვს.

***— „ჯენოამ“ წინასასეზონო მზადების პირველი ეტაპი მოილია. რას გვეტყოდით გუნდის სადღეისო მზადყოფნასთან დაკავშირებით?***

— მოხარული ვარ, რომ ჩვენთან მხოლოდ მაღალი დონის ფეხბურთელები მოვიდნენ. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება ზე ედუარდომ დატოვა. მისი სახით „ჯენოამ“ დიდი ფეხბურთელი გადაიბირა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ბრიტანეთში მასობრივი დაპატიმრებები გრძელდება

ბრიტანეთში მასობრივი დაპატიმრებები გრძელდება. არეულობის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ მხოლოდ ლონდონში სამართალდამცველებმა 1200 ადამიანი დააკავეს.

დაკავებულთა უმეტესობას ბრალი უკვე წაუყენეს.

მათ შორის არიან ის ადამიანებიც, რომელთაც ბირმინგჰემში 3 ადამიანის მკვლელობაში ედებათ ბრალი.

პოლიციამ სავარაუდო ექვმიტანილები — 17 წლის ვისნოს გრინი და 26 წლის ჯოშუა დონალდი დააკავა.

სამართალდამცველების ინფორმაციით, სწორედ ისინი მართავდნენ მანქანას, რომლითაც 3 ადამიანს გადაუარეს.

ბრიტანეთის პოლიცია ლონდონის ქუჩებში ტრადიციულ რეიდებს ახორციელებს. ბრიტანელ პოლიციელებს, პრემიერ-მინისტრ დეივიდ ქემერონის გადაწყვეტილებით, ამერიკელი კოლეგებიც ეხმარებიან.

**პირველი**

## სირიაში მდგომარეობა კვლავ უკიდურესად დაძაბულია

სირიის სამთავრობო ჯარებმა ორი საავადმყოფო დაბომბეს. სირიაში მდგომარეობა კვლავ უკიდურესად დაძაბულია.

თვითმხილველების ინფორმაციით, თავდასხმის შედეგად რამდენიმე ექიმი მძიმედ დაიჭრა. ბოლო ორი დღის განმავლობაში სირიის არმიამ 30 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

პარალელურად, საერთაშორისო საზოგადოება ქვეყნის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებაზე მსჯელობს.

შეგახსენებთ, რომ არეულობა სირიაში 18 მარტს დაიწყო. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების ინფორმაციით, საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას სამთავრობო არმიამ 1700 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

**პირველი**

## ბრიტანეთში მაროდიორები ნაძარცვ ნივთებს ნახევარ ფასად ყიდიან

დიდ ბრიტანეთში მაროდიორები დარბევების დროს ნაძარცვ ნივთებს ინტერნეტ-აუქციონზე ნახევარფასად ჰყიდიან.

„გაზეტა.რუ“-ს ინფორმაციით, გასაყიდ ნივთებს შორის არის პლაზმური ტელევიზორები, სმარტფონები, სხვა საყოფაცხოვრებო საგნები.

ამასთან, ბრიტანელი ინტერნეტ-მომხმარებლები ინფორმაციას ნახევარფასად განთავსებული ნივთების შესახებ პოლიციას აწვდიან. „ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა უკვე დააპატიმრეს პირი, რომელმაც ნაძარცვი საქონელი ინტერნეტ-აუქციონზე გასაყიდად გაიტანა.

დიდ ბრიტანეთში არეულობები და მაროდიორობა 6 აგვისტოს საღამოს დაიწყო. საბაბი ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების სიკვდილი გახდა. ლონდონში მცხოვრებ ახალგაზრდებს მიმბაძველები ბირმინგემში, ლივერპულში, მანჩესტერსა და სხვა ქალაქებშიც აღმოაჩნდათ.

**ინტერპრესნიუსი**

## პაკისტანში რესტორნის აფეთქების შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა

პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პროვინცია ბალუჩისტანში რესტორნის აფეთქების შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ადგილობრივ პოლიციაზე დაყრდნობით ავრცელებს.

წინასწარი ინფორმაციით, ორსართულიან შენობაში ბომბი იყო დამონტაჟებული. „ბი-ბი-სი“-ის ინფორმაციით, ადგილობრივები ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების გადარჩენას და ცხედრების ამოყვანას შიშველი ხელებით ცდილობენ.

ბალუჩისტანში ადგილობრივი სეპარატისტები, ბოევიკი-ისლამისები ტერაქტებს ხშირად აწყობენ.

**ინტერპრესნიუსი**

## ავღანეთში თალიბები გუბერნატორის რეზიდენციას თავს დაესხნენ

თალიბების მიერ ავღანეთის პროვინცია ფარვანის გუბერნატორის რეზინდეციაში განხორციელებული ტერაქტის შედეგად 16 სახელმწიფო მოხელე დაიღუპა. ინფორმაციას ამის შესახებ „როიტერზი“ ავრცელებს.

ფარვანის ჰოსპიტლის მთავარი ექიმის მოჰამად ასიფის ინფორმაციით, საავადმყოფოში 16 ცხედარი და 29 დაჭრილი მიიყვანეს.

თავად გუბერნატორი ტერაქტის შედეგად არ დაშავებულა.

თვითმხილველების განცხადებით, დღეს დილით რეზიდენციის სიახლოვეს ორი აფეთქების ხმა გაისმა.

**ინტერპრესნიუსი**

## სამგლოვიარო განცხადებები

### გია ქეცბაიას მოგონება



ჩემო გია, 21 წლის ვიყავი, შენ რომ შეგვეძინე და ამ ჩემთვის ავად გასახსენებელ 15 აგვისტოს შესრულდა 21 წელი, რაც დაგვტოვე.

მშურს დედაშენის, რომ შენთან არის და ერთად ხართ უჩემოდ.

ჩემო გია, შენ უკვე ოთხი შვილიშვილი გყავს, რომელთა ნახვას ვერ მოესწარი. ღმერთმა ამრავლოს შენი შთამომავლობა.

ერთს უკვე არჩეული აქვს პროფესია, ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია. შენ რომ გეამაყებოდა თემური, ბექასაც მასავით ქეცბას ეძახიან. მწვრთნელი ამბობს, დიდი ფეხბურთელი გვეზრდებაო, ღმერთმა შეუწყოს ხელი.

*შენი მამა ჯუმბერ ქეცბაია*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## საბავშო ბაღების რეფორმა ბავშვების ფსიქიკაზე ცუდად აისახება



მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ საბავშო ბაღებთან დაკავშირებით თბილისის მერიის მიერ გატარებულ რეფორმას, მომავალი თაობების წინაშე დანაშაულად მიიჩნევს.

პარტიის განცხადებით, საბავშო ბაღებში გადასახადის დაწესება სკოლამდელი აღზრდის არარსებობას გამოიწვევს, რაც მომავალ თაობებზე ცუდად აისახება.

— გადასახადად დაწესდა 30 80 ლარი. შექმნილი სოციალური ფონიდან გამომდინარე, ეს თანხა საკმაოდ ბევრია. ზემოთ ხსენებული გადასახადი მთელი რიგი ოჯახებითვის მეტისმეტად მძიმეა. რაც კიდევ უფრო მძიმედ აისახება დაბალ სოციალურ მდგომარეობის ოჯახებზე. დარწმუნებული ვართ, ბევრი ოჯახი ვერ შეძლებს ხსენებული გადასახადის გადახდას. შესაბამისად, დაწყებით კლასებში მივიღებთ ბავშვების განვითარების დაბალ დონეს. ოჯახების ნაწილი, რომლებიც ვერ გადაიხდიან გადასახადს, მათი ბავშვი დარჩება საბავშვო ბაღს გარეთ, რის შედეგადაც ბავშების დაყოფა მოხდება — ბავშვები, რომლებიც დადიან ბაღში, და რომლებიც არიან ბაღის გარეთ დარჩენილები მეგობრების გარეშე. შესაბამისად ბავშვები დაიყოფა ღარიბი და მდიდარი მშობლების შვილებადაც, რაც არ გამოვრიცხავთ, მიგვიყვანს სავალალო შედეგამდე, ბავშვის ფსიქიკა ფაქიზი ფენომენია და მის მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, — განმარტავენ პარტიაში.

მათი თქმით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შუა სასწავლო წელს მშობელმა თანხის გადახად ვერ შეძლო და ბავშვის საბავშო ბაღიდან გამოყვანა მოუწია, ბავშვის ფსიქიკას ზიანი მიადგება.

— თუ მშობელმა ველარ შეძლო თანხის გადახდა, გამოდის რომ ბავშვს ბაღის დატოვება მოუწევს, სანამ მისი მშობელი ფინანსურ სახსარს არ გამოძებნის. ისმის კითხვა, გახდება თუ არა საჭირო პატარის თავმოყვარეობის აღდგენა მისი პატარა თანაჯგუფელების თვალში? რაც გამოწვეული იყო იძულებით ბაღის გარეთ ყოფნით. ამ დარღვევის აღსადგენად შესაძლოა ფსიქოლოგის ჩარევაც კი გახდეს საჭირო. მშობელი რომელსაც არ აქვს ბაღის საფასურის გადახდის საშუალება , ის ვერც ძვირადღირებულ ფსიქოლოგის დახმარების შესძლებს. საბოლოო ჯამში, დაგვრჩება არასწორი რეფორმის შედაგად დაჩაგრული მომავალი თაობა, — აცხადებენ მოძრაობა „სამართლიან საქართველოში“

**მედიანიუსი**

## ლაგოდეხის ნაკრძალში მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია დაინგრა



ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში, თელა-მთაზე, მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია დაინგრა. ეკლესია შუა საუკუნეებში იყო აშენებული, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

— თელა-მთის მთავარანგელოზთა ეკლესიის აღდგენა შესაძლებელია. დიდი ხნის განმავლობაში ძალიან იყო დაზიანებული. სავარაუდოდ, კედლები მოხატული უნდა ყოფილიყო. იქ ძალიან მნიშვნელოვანი კომპლექსი ფუნქციონირებდა. ბერმონაზვნები მნიშვნელოვან სამეცნიერო სამუშაოებს ატარებდნენ. ეკლესიის სავალალო მდგომარეობის შესახებ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ინფორმირებული იყო. სააგენტოს ყოველ წელს ვუგზავნით რაიონში არსებული ეკლესიების შესახებ ინფორმაციას და ფოტო-მასალას, რომ არ გამორჩეთ და ეკლესიებს რესტავრაცია ჩაუტარონ, — განაცხადა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის განყოფილების სპეციალისტმა აკაკი მჭედლიშვილმა.

ეკლესიიდან ოდნავ მოშორებით შემორჩენილია აკლდამის ტიპის საძვალეს ნანგრევები და მცირე ეკლესიის ფრაგმენტი

**მედიანიუსი**

## მოსწავლეთა ჯგუფი ბრიტანეთის საზაფხულო სკოლაში გაემგზავრა

ქართველი მოსწავლეები ბრიტანეთის საზაფხულო სკოლიდან დაბრუნდნენ.

როგორც „პირველს“ განათლების სამინისტროდან აცნობეს, ინგლისში წარჩინებულ მოსწავლეთა ახალი ჯგუფი გაემგზავრა.

ზაფხულის განმავლობაში 32 მოსწავლე, ინგლისში ოთხ ნაკადად გაემგზავრება. ბავშვები იმ 600 მოსწავლისაგან შეირჩნენ, რომლებიც წყნეთის ბაქსვუდის საზაფხულო სკოლაში სასკოლო ოლიმპიადებში მიღებული მაღალი შედეგების გამო მოხვდნენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რამდენიმე წელია, “ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების პროგრამას“ ახორციელებს, რომელიც ორ ქვეპროგრამას „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლები საქართველოში“ და „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლები გაერთიანებულ სამეფოში“ მოიცავს.

**პირველი**

## ბრეივიკმა პოლიციას დეტალურად უჩვენა, როგორ ესროდა უტოიაზე მყოფებს



ნორვეგიელმა ტერორისტმა ანდერს ბრეივიკმა პოლიციელებს, საგამოძიებო ექსპერტიზის ჩატარებისას, დეტალურად უჩვენა, როგორ დახოცა 69 ადამიანი კუნძულ უტოიაზე.

„როიტერის“ ცნობით, ბრეივიკი ექსპერიმენტის ჩასატარებლად ტყვიაგაუმტარი ჟილეტითა და გაძლიერებული ბადრაგით კუნძულზე გადაიყვანეს, სადაც მან დეტალურად უჩვენა მის მიერ განხორციელებული ყველა ქმედება.

მან პოლიციელების წინაშე მოახდინა იმის დემონსტრირება, დამიზნებით როგორ ესროდა კუნძულზე მყოფებს, რომლებიც მისგან თავის დასაცავად წყალში შედიოდნენ. აღნიშნული ექსპერიმენტი რვა საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.22 ივლისიდან დღემდე აღნიშნულ კუნძულზე მოხვედრა აკრძალულია.

**ინტერპრესნიუსი**

## ისრაელში ფასების გაზრდას აპროტესტებენ

ისრაელის 12 ქალაქში, სოციალური მოთხოვნებით, 70 000-კაციანი საპროტესტო აქცია გაიმართა.

„ეხო მასკვის“ ცნობით, აქციაში საშუალო კლასის მოქალაქეები და სტუდენტები მონაწილეობდნენ. უკვე მეოთხე კვირაა ისრაელის მცხოვრებლები ქვეყანაში მომატებულ ფასებს აპროტესტებენ. 6 აგვისტოს გამართულ აქციაზე 300 ათასი მოქალაქე გამოვიდა.

დემონსტრანტები ეკონომიკურ რეფორმებსა და უმუშევრობის წინააღმდეგ გამოხატავენ პროტესტს

**ინტერპრესნიუსი**

## TV პროგრამა

### ოიშაბათი 15 აგვისტო

**07.30** დოკ. ფილმი "სამყარო" **08.30** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **09.00** სათავგად. ფილმი "**კუნძულეთი**" **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** მეხსიერება **14.00** დოკ. ფილმი "რაგბიში მსოფლიოს ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" **15.00** სერიალი "**დღეები ლეონესთან ერთად**" **17.00** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **18.00** სილამაზის ფორმულა **18.30** მედ-ინფო **19.00** დოკ. ფილმი "ჰილტონები" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერიალი "**დღეები ლეონესთან ერთად**" **22.00** აუდიტორია **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **00.00** ღამის საუბრები **01.00** მხ. ფილმი "**ზარი**" (18) (ნ. უოტსი) **03.00** მოამბე **03.20** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **09.00** საბ. ფილმი "**ეგვიპტის უფლისწული**" **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** სპექტაკლი "ისისნი თამაშობენ ჯინს" **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00, 19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფილმი "**როკის სკოლა**" **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი "**ოფიცერი და ჯენტლმენი**" (12)

**08.00** კურიერი **08.20** ან. ფილმი "ტრანსფორმერები" **08.40** ან. ფილმი "ეშმაკური ლიგა" **09.00** ექსტრემალური შეჯიბრებები **10.00** სერიალი "**ცოდვილი**" **11.00** სერიალი "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სერიალი "**მაშველები**" **13.30** ქართ. ფილმი "**შერეკილები**" **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერიალი "**ავრორა**" **18.45** ამერიკის სასაცილო ვიდეოები **19.45** სერიალი "**ახალგაზრდა ქვრივი**" **22.00** მელომანია **23.30** მხ. ფილმი "**ყველაფერი კარგად იქნება**" **01.00** ექსტრემალური შეჯიბრებები **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.20** ქრონიკა **09.15** სერიალი "**გმირები – 2**" **10.00** სერიალი "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.40** სერიალი "**სიყვარულის ზღვა**" **12.50** სერიალი "**ფული და სექსი**" **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერიალი "**მეტოქეები**" **17.40** სერიალი "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერიალი "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერიალი "**დამალული სიმართლე**" **22.00** იუმორინა **23.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **00.45** მხ. ფილმი "**იტალიური ისტორია**" (15) (მ. ბელუჩი) (სუბტ.) **03.45** მხ. ფილმი "**სიბრმავე**" (18) (ჯ. მური) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00, 13.00, 19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **11.00** ანიმაცია "შეჰერაზადა" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერიალი "**ფანტაზიების კუნძული**" **14.30** სერიალი "**ტყუპები**" **15.30** პულსი **16.20** გადაცემა "გუნდი" **17.10** მხ. ფილმი **20.00** სერიალი "**ელიზა დი რივერმბროზა**" **21.00** სერიალი "**გაუხსნელი საქმე**" **22.00** "მზის სახლი" – საუკეთესო მომენტები **23.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერიალი "**სოფია, ცოტა მადროვე**" **10.30** დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერიალი "**წყნარი ოეანის მარგალიტი**" **12.50, 19.35** სერიალი "**მეგობრები**" **15.15** სერიალი "**განებივრებული ლამაზმანი**" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" **23.00** სახლი ბათუმში **00.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** "დიდ ხარ შენ უფალო" **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.10** მხ. ფილმი "**ცხელი ზაფხულის სამი დღე**" **13.35** კონცერტი – ხ. კოკოჩაშვილი **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** სპექტაკლი "**ვალი**" **17.05** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.25** საუბრები შ. ნადირაშვილთან **18.20** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი "**თუში მეცხვარე**" 1-ლი ს. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** საქართველოს ისტორია **22.20** დოკ. ფილმი "აუდიო წიგნი" გ. რობაქიძე **22.35** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ოსანა მაღალთა შინა" **00.30** განთიადის კოლაჟი **01.20** პერსპექტივა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

15 აგვისტო

აშშ დოლარი — 1,655
ევრო —2,3691
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7259
რუსული რუბლი — 0,0582

## ამინდის პროგნოზი 15 აგვისტოსთვის

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 27-31, ღამით — 18-29
აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-28, ღამით — 29-22
სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა წვიმა, დღისით — 22-25, ღამით — 12-18




# ლაშა ბუღაძე ბი-ბი-სი-მ დააფასა

ეკა ირემაშვილი

ქართველი მწერალი, ლაშა ბუღაძე, რომელიც არაერთი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული და სხვადასხვა პრემიის მფლობელია, ბიბისის მიერ გამოცხადებულ კონკურსში საუკეთესოდ დასახელდა. დიდ ბრიტანეთში ქართველმა მწერალმა „ბი-ბი-სის" მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონკურსში მთავარი პრიზი მოიპოვა.

ამ კონკურსში ქართველ მწერლებს არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, მათგან საუკეთესო და გამარჯვებული არავინ გამხდარა. წელს კი მთავარი პრიზი ლაშა ბუღაძემ დაიმსახურა და იგი ფერნანდა ჯებერსთან ერთად გაიყო.

პრიზი ქართველ მწერალს პიესა „ნავიგატორისთვის" გადაეცა. კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალი 10 ოქტომბერს არის დაგეგმილი.

საზეიმო ღონისძიება შექსპირის ისტორიული თეატრის „გლობუსის" სცენაზე გაიმართება.

**ლაშა ბუღაძე, მწერალი:**

— ყველა ინფორმაცია ბიბისის ოფიციალურ საიტზეა განთავსებული. სიმართლე რომ გითხრათ, გამარჯვებას ნამდვილად არ ველოდი. რა თქმა უნდა, გამიხარდა. ცოტა მონაწილე არ ვიყავით.

*— რამდენი შემოქმედი იღებდა ამ კონკურსში მონაწილეობას?*

— როცა ეს პიესა გავგზავნე ბიბისის კონკურსზე, მასში სულ 1000 ნაწარმოები მონაწილეობდა. როდესაც შორტ ლისტი, ე.წ. საფინალო კონკურსანტთა სია გამოქვეყნდა და იმ 14 რჩეულს შორის ჩემი პიესაც იყო, კიდევ უფრო სასიამოვნო განცდა დამეუფლა.

*— არ ელოდით გამარჯვებას?*

— ნამდვილად არა. ეს არის ჩემი პიესა „ნავიგატორი", რომელიც ბიბისის კონკურსმა საუკეთესოდ მიიჩნია.

*— თქვენ პირველი ქართველი მწერალი ხართ, რომელმაც ბიბისის კონკურსში გაიმარჯვა?*

— მგონია, რომ პირველი ვარ. ვიცი, რომ მონაწილეობას სხვა ქართველი მწერლების იღებდნენ ამ კონკურსში სხვადასხვა დროს.

*— კიდევ სხვა საერთაშორისო კონკურსზე ხომ არ გაქვთ გაგზავნილი თქვენი პიესები?*

— არა, სხვა კონკურსებზე ჩემი პიესები არ გამიგზავნია.

*— რა სიახლეებს უმზადებთ თქვენს ერთგულ მკითხველს შემოდგომისთვის?*

— ასე წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია. სჯობს, მოვლენების განვითარებას ერთად დაველოდოთ.

*— როდის ჩახვალთ ლონდონში კუთვნილი პრიზის მისაღებად?*

— დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალი 10 ოქტომბერს ლონდონში შექსპირის თეატრ „გლობუსში" გაიმართება. ბიბისის კონკურსის რჩეული მხოლოდ მე არ გავმხდარვარ. ეს პრიზი ფერნანდა ჯებერსთან უნდა გავინაწილო.



# კახა კალაძე: ბედმა გამიღიმა, საფეხბურთო კარიერა გენუაში რომ გავაგრძელე

**საქართველოს ნაკრების კაპიტნისა და „ჯენოას" მცველ კახა კალაძის ინტერვიუ იტალიაში ყველაზე პოპულარულ სპორტულ გამოცემა „ლა გაძეტა დელო სპორტში" გამოქვეყნდა.**

კალაძე გენუაში გადასვლის პერიოდს იხსენებს და გუნდის სამომავლო პერსპექტივაზეც საუბრობს.

*— სადღეისოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ჯენოასა" და თქვენი თანამშრომლობის შესანიშნავი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?*

— ჯენოაში ჩემი ცხოვრება შეიცვალა. როდესაც აქ ჩამოვედი, რთულ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი. მართალია, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე „მილანის" მადლიერი დავრჩები, მაგრამ 2009-10 წლების სეზონი ჩემთვის რთული გამოდგა. ტრავმის გამო პრაქტიკულად არ მითამაშია. გენუაში პირველ რიგში ფიზიკური კონდიციები აღვიდგინე. ამასთან, ნებისმიერ სფეროში, წარმოუდგენელია პროფესიული ასპექტით წინ წაიწიო, თუკი ბედნიერი არ ხარ. „ჯენოაში" კი ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია.

*— სხვა კლუბებისგანაც ხომ გქონდათ წინადადება?*

— ტურინის „იუვენტუსი" მეპატიჟებოდა, მაგრამ „ჯენოას" ვარიანტი ვარჩიე. ისე არ გამიგოთ, თითქოს „ბებერ სინიორაში" გადასვლის შემთხვევაში კონკურენციის შემეშინდა, მაგრამ როდესაც გუნდი სასტარტოში მუდმივად თამაშის გარანტიას გაძლევენ, გული იქით მიგიწევს. ბედმა გამიღიმა, საფეხბურთო კარიერა გენუაში რომ გავაგრძელე.



*— „ჯენოა" თანდათან ამბიციურ კლუბად და პროექტად იქცა. თქვენც იზიარებთ ამ მოსაზრებას?*

— არ მინდა ხმამაღალი განცხადებების გაკეთება, მაგრამ უკვე დროა, ჩვენი გუნდი გათამაშების ცხრილის შუაგულში ყოფნით არ დაკმაყოფილდეს და უფრო მაღალი ამოცანები დაისახოს მიზნად. იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონი გვაქვს, გუნდი მაღალი დონის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და რატომაც არ უნდა ვიფიქროთ მაღალი ადგილის დაკავებაზე?

*— „ჯენოაში" საკმაოდ*

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ტესტი

## გიყვართ თუ არა საკუთარი თავი



1. მიგაჩნიათ, რომ ბედი არ გწყალობთ?
2. თუ უფარდებთ თქვენს საქციელს სხვების აზრს?
3. კარგად თუ გრძნობთ თავს ამჟამად?
4. გჩვევიათ თუ არა წარსული საუბრებისა და სიტუაციების ანალიზი, რათა მიხვდეთ, როგორ მოიქცეოდნენ მსგავს სიტუაციაში სხვა პიროვნებები?
5. თუ გრძნობთ თავს უხერხულად, როდესაც საჯაროდ გაქებენ?
6. თუ გრძნობთ პირდაპირ დამოკიდებულებას მატერიალურ მდგომარეობასა და სულიერ კომფორტს შორის?
7. გიჭირთ გრძნობების გამომჟღავნება?
8. შეგიძლიათ თუ არა დიდხანს მარტო ყოფნა?
9. შეგიძლიათ თუ არა, დაუპირისპირდეთ საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობთ?

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**პასუხები**

**0-3 ქულა:** გიყვართ საკუთარი თავიც და სხვებიც. თქვენი წარმატება და კეთილდღეობა მნიშვნელოვანწილად ამით არის განპირობებული.

**4-6 ქულა:** ძნელი სათქმელია, გიყვართ თუ არა საკუთარი თავი. ამაზე იშვიათად ფიქრობთ. თქვენს შესაძლებლობებს სრულად არ იყენებთ, მეტ ყურადღებას უფრო ნაკლოვანებებს აქცევთ.

**6-9 ქულა:** არ გიყვართ საკუთარი თავი, მიგაჩნიათ, რომ რაღაც ცუდი შეიძლება დაგემართოთ და აღიარებთ, რომ მოლოდინი ხშირად მართლდება.

გ. თ.

# ემი უაინჰაუსი სიკვდილის შემდეგ გაძარცვეს



რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ემი უაინჰაუსს უსიამოვნებები სიკვდილის შემდეგაც თან სდევს. როგორც გუშინ ბრიტანულმა ტაბლოიდმა The Sun -მა განაცხადა, მომღერლის ლონდონში მდებარე სახლი გაძარცვეს. ემის მამის თქმით, ბინიდან წაღებულია მომღერლის საყვარელი გიტარა, გამოუქვეყნებელი ჩანაწერები, ასევე მესამე ალბომისთვის განკუთვნილი სიმღერების ტექსტები და პირადი წერილები. თუმცაღა, დაკარგული ნივთების სია შესაძლოა გაიზარდოს. სავარაუდოდ, ქურდობა ოჯახის ერთ-ერთმა ახლობელმა ჩაიდინა, ვინაიდან სახლი საგულდაგულოდ არის დაცული და იქ პოლიციის ზედამხედველობის გარეშე უცხო ადამიანი ვერ მოხვდება. დაახლოებით ოც კაცს აქვს საშუალება ბინაში თავისუფლად შესვლისა და ისინი ყველანი ემის ოჯახის წევრები და უახლოესი მეგობრები არიან, - განუცხადა ჟურნალისტებს ემის მამამ, მიტჩმა, რომელსაც პოლიციისთვის ძარცვის შესახებ ოფიციალური განცხადებით ჯერჯერობით არ მიუმართავს, რადგან დარწმუნებულია, რომ ქურდს სინდისი შეაწუხებს და მოპარულ ნივთებს ნებაყოფლობით დააბრუნებს.

ათბ-ნიუსი

# არმანისთვის მთავარი ჯანმრთელობაა

მაღალი მოდის მეფეებმა ჯორჯო არმანიმ და რობერტო კავალიმ დროებით საქმე გვერდზე გადადეს და დასვენებისთვის მოიცალეს.



არმანი თავის საყვარელ მეგობართან ერთად ესპანეთის კუნძულ ფორმენტერაზე გაემგზავრა, ხოლო რობერტო კავალი სარდინიაში ისვენებს ახალგაზრდა მეგობარი ქალის კომპანიაში. 77 წლის არმანის ზამბარასავით დაჭიმულმა ფიგურამ საზოგადოება აღაფრთოვანა — კუტიურე თავისი გარეგნობით არაფრით ჩამოუვარდებოდა მასზე ბევრად ახალგაზრდა თანმხლებ მეგობარს და ეს გასაკვირი არც არის — ცნობილია, რომ ჯორჯო ჯანმრთელობას ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სხვათა შორის, იგი პირველი გახლდათ, რომელმაც თავისი კოლექციის ჩვენებებზე ანორექსიით დაავადებული მოდელების გამოსვლა აკრძალა. რაც შეეხება კავალის, ის თავის კოლეგაზე 7 წლით არის უმცროსი, თუმცა, მასზე ბევრად ხნიერად გამოიყურება. რობერტოს მომჩვარული კანი და გადმოკიდული ღიპი განსაკუთრებით თვალშისაცემი მაშინ იყო, როცა კუტიურე პლაჟზე თავის ნორჩ მეგობარ ქალთან, შესანიშნავი აღნაგობის ლინ ნილსონთან ერთად ჩნდებოდა

ათბ-ნიუსი

# ასტროპროგნოზი 15 აგვისტოსთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — ახალი პროექტი გაამართლებს, კმაყოფილი დარჩებით. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **ღრიანკალი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **მშვილდოსანი** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს. **თხის რქა** — ფულს იშოვით, ოღონდ მთლიანად ნუ გაფლანგავთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, თქვენი საქმე წინ მიდის. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# იუმორი



— ვერ გამიგია, როგორ შეიძლება რომ მამაკაცი დაინტერესდეს ქალით, რომელსაც მეორე წარმოებულის გამოთვლა არ შეუძლია...

* * *

— ბატონო პოლიციელო, ეს მამაკაცი პირუტყვივით მეძგერა და გაუპატიურება დამიპირა.

— ცილს რატომ მწამებთ ქალბატონო, თქვენ არც ერთი პირუტყვი არ დაგესხმოდათ თავს, ვერც კი წარმოიდგენთ, ამ საკითხში როგორი დაკვირვებულები არიან...

— დამავიწყდა, რა სიტყვაა, თამარი ცოლად რომ მოვიყვანო, მისი მშობლებისთვის რა ვიქნები?

— მხსნელი...

* * *

— სად მიდიხარ?

— მალაზიაში, გუშინ შარფი ვიყიდე და უნდა დავაბრუნო, ცოტას მიჭერს...

* * *

— მიშველე, მთელი ხროვა მომდევს.

— ცოფიანი ძაღლების?

— თეთრი გედების — ერთი ნაფაზის დარტყმაც ვერ მოვასწარი, რომ გამომეკიდნენ...

გ. თ.

# კროსვორდი ა




**თარაზულად:** 1. ნარკოტიკი; 3. მაკლერი; 8. დუმფარისებრთა ოჯახის წყლის მცენარე; 10. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 11. შვეიცარიის დედაქალაქი; 12. სავანის ტიპის მცენარეულობა ბრაზილიაში; 14. ტკბილი გემო; 15. ხელოვნური ბოჭკო; 16. აზროვნების ორგანო; 19. გაუშლელი ყლორტი; 20. პატარა ტიკი; 21. რკინიგზის სადგურის ბაქანი.

**შვეულად:** 1. მილიონერთა შვილების გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით; 2. ძაღლის ჯიში; 3. დაფქვილი ხორცის შემწვარი კვერები; 4. ჭექა-ქუხილის ღმერთი ვედიზმში; 5. ორგანული სასუქი; 6. ინგლისის თავადაზნაურული მემკვიდრეობითი ტიტული; 7. ზურგის ტვინის ანთება; 9. ორგანოლა; 13. სოფელი გარდაბნის რაიონში; 17. იაპონელთა ჯიბის კოლოფი; 18. სატურნის თანამგზავრი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

ლურჯი წითელი ყვითელი შავი